კლიტე დავითისა

,,და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს წმიდაჲ და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰჴშას, გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დაჴშული იგი.''

(გამოცხ. 3.7)

თეგერვალი, 2023 წელი

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

გვერდი მე-2

სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა დავით აღმაშენებლის დაბადების 950-ე წლისთავს

გვერდი მე-3

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა თანაშრომლობა ,,დავითიანნთან''

გვერდი მე-4-5

უახლესი ისტორიიდან

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის „დილის საუბრებიდან“

გვერდი მე-8

როგორ იქმნებოდა ბიბლიის აუდიოვერსია - საუკუნის პროექტი

გვერდი მე 6-7

30 წელი პატრიარქის გვერდით....

გვერდი მე-9

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„ვჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან... და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში“ (კოლ.1.13)

დგება ჟამი გამოუთქმელი სიდიადისა!

იშვება ქრისტე, ირღვევა სიბნელის საკვრელნი, „ჩრდილნი უკუმსვლელობენ და ჭეშმარიტება შემოდის სინათლის დასამკვიდრებლად“.

როგორ შეხვდებით მას? გვექნება მონდომება და მზაობა იმისა, რომ ჩვენც ქრისტესთან ერთად თანავიშვათ, რათა თანაჯვარსვეცვათ, თანადავიფლათ, თანაავღდგეთ და მასთან ერთად ვიყოთ მარადიულად?

ეს ურთულესი კითხვაა და მასზე სწორი პასუხის გაცემა ჩვენი ცხოვრების აზრის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია.

ფაქტია, ჩვენი მუდმივი ადგილი ამქვეყნად არ არის. ჩვენ ამ ყოფისთვის არა ვართ გაჩენილნი; უხრწნელად შევიქმენით და ამ მდგომარეობასვე უნდა დავუბრუნდეთ. ეს აუცილებლად მოხდება ჩვენი ამ ქვეყნიდან გასვლით, ოღონდ ჩვენი თავისუფალი ნებისა და ღვთის ნების თანხვედრაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება შემდგომი ჩვენი ხვედრი.

ჩვენი ნება ხორციელდება ჩვენი სულით, გულით, გონებითა და სიტყვით. ამიტომაც მათზე ზრუნვა განსაკუთრებულად გვმართებს.

ჩვენი სულის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა სინდისი.

სინდისი ღვთის ხმაა. მას ვერ დაიმორჩილებ, შენი სურვილისამებრ ვერ განაწყობ, ბოლომდე ვერც აღმოფხვრი; პირიქით, თავის მყოფობას მაშინაც გვაგრძნობინებს, როდესაც ვცდილობთ, გავექცეთ, თუმცა ისეც ხდება, რომ მუდმივი უგულებელყოფით, მისი ხმა სუსტდება და აღარ გვესმის. არსებობს მდგომარეობაც, რასაც „დამწვარი სინდისი“ ჰქვია და ადამიანის უმძიმეს სულიერ ცხოვრებაზე მეტყველებს.

ქრისტიანული რწმენა და მცნებები ჩვენში სინდისის ხმის სიძლიერისა და მართებულობის ყველაზე უტყუარი განმსაზღვრელია და ჩვენი სულის სწორად განვითარების შესაძლებლობაა, რადგან სინდისი ჩვენს ნებას ღვთის ნებასთან აკავშირებს.

„ვერავინ ვერ დადებს სხვა საძირკველს, გარდა უკვე დადებულისა, რომელიც არის იესო ქრისტე. ხოლო თუ ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე - ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, შეშას, თივას, ჩალას, - თითოეულის საქმე გამომჟღავნდება... ცეცხლით გამჟღავნდება და ცეცხლითვე გამოიცდება, ვინ რას აკეთებს“ (1 კორ. 3, 11-13).

გული ცენტრია ჩვენი სიცოცხლისა, ჩვენი ცხოვრებისა; ღვთის შიში, გრძნობათა მთელი სამყარო და უფალთან ერთობის სურვილი მასში მყოფობს.

გონება კი გვეხმარება შევიცნოთ გარე სამყარო და დავძლიოთ ჩვენი დაცემული ბუნება.

ცოდვისგან ადამიანის გული, გონება და სული თავისუფლდება ლოცვით, მარხვით, მღვიძარებითა და განსაცდელებით; ამიტომაც არ უნდა შეგვეშინდეს პრობლემების. სიბრძნეც გვასწავლის: „კეთილდღეობა შეიძლება უბედურებაზე საშიში იყოს და უბედურება - კეთილდღეობაზე მეტად მაცხოვნებელი.“

თუ სწორად ვცხოვრობთ, ღმერთი აუცილებლად დაგვეხმარება, მისი შეწევნა კი შეიძლება მოვიდეს იქ და მაშინ, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდით.

• • •

ადამიანი განსაკუთრებული არსებაა, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად; საიდუმლოებით მოიცავს როგორც მაკრო, ისე მიკრო სამყაროს და შესაქმის გვირგვინად და მეფედ არის დადგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამმა და მისმა შთამომავლობამ, საღვთო ღირსებებთან ერთად, უკეთურ ძალთა თვისებებიც შეიძინა და ბოროტის გავლენის ქვეშ მოექცა, შემოქმედმა მაინც არ მიგვატოვა;

კაცთა განსწავლა ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა წინასწარმეტყველთა და მსაჯულთა მიერ, სიტყვითა და რჯულით, ასევე, ომებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით... ბოლოს კი იუდას შტოში, იესეს მოდგმაში, დავითის სახლში, დაიბადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, - საღვთო აღმშენებლობის მთელი ისტორიის თავის თავში მომცველი.

უფლის მოწყალებით მან მოიღო მადლი, - ეშვა შემოქმედი, რათა ადამიანის ბუნება განღმრთობილიყო და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი სასწაული აღსრულებულიყო.

მოციქული ბრძანებს: „ამიერიდან აღარა ხართ მონა, არამედ შვილი, ხოლო თუკი ძე ხარ, მაშინ ქრისტეს მიერ ღმერთის მემკვიდრეც“ (გალ.4.7).

ასეთი განსაცვიფრებელი სიდიადის თანაზიარია ადამიანი;

ასეთი დიადია თითოეული თქვენგანი!

და თუ თქვენ ცხოვრობთ ქრისტიანულად სადიდებლად ღვთისა და მსახურებად მოყვასისა, არა აქვს მნიშვნელობა, მეცნიერი ხარ, პოლიტიკოსი, ექიმი, მშენებელი, გლეხი, სპორტსმენი, პედაგოგი, მძღოლი, ჯარისკაცი თუ სხვა, შენი საქმიანობა ღვთისმსახურებად შეგერაცხება და ეს იქნება შენი ოქრო, გუნდრუკი და მური უფლისთვის მირთმეული და გაიხარებ ორსავ სოფელსა შინა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთიანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი“ (გალატ.6,2), - მოგვიწოდებს წმინდა წერილი.

მოდის მაცხოვარი, რათა გაგვათავისუფლოს ურწმუნოებისაგან და ჩვენს უმნიშვნელოვანეს კითხვებს გასცეს პასუხი, უბოძოს კაცობრიობას ცათა სასუფევლის ცოდნა და სამართალი, ყველაფერს დაუბრუნოს მარადიულობა და იხსნას იგი სიკვდილისა და ხრწნილებისაგან, „რადგან კეთილ ინება მამამ, რომ მასში (ქრისტეში) დამკვიდრებულიყო მთელი სავსება და მისი საშუალებით შემოერიგებინა ყოველი“ (კოლას.1,19-20).

ყველას და, პირველ რიგში, უკრაინის ომის მძიმე შედეგებით დათრგუნვილ და დაზარალებულ ბავშვებს, საერთოდ ნებისმიერ მოზარდს მინდა, მივულოცო ქრისტეშობის დიდებული ზეიმი; მივულოცო იგი ყველა ტვირთმძიმესა და მაშვრალს, რადგან ეს დღესასწაული აღმატებულია ნებისმიერ განსაცდელზე, ჰმეტობს თითოეული ჩვენგანის ტკივილს და იმედით გვავსებს.

ჩემო სულიერო შვილებო, საქართველოს მკვიდრნო და უცხოეთში მყოფნო თანამემამულენო, სულიერად წარვემართოთ ბეთლემისაკენ, რათა მწყემსებთან ერთად ვადიდოთ ყრმა იესო, მოგვებთან ერთად შევნიროთ ძღვენი, – ოქრო, გუნდრუკი და მური და ანგელოზებთან ერთად ვუგალობოთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დალოცოს საქართველო!

ინებოს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ჩვენზეც აღსრულდეს წმინდა დავით მეფის სიტყვები:

„ნეტარ არს ხალხი, ვისთვისაც ღმერთი არის უფალი, ხალხი, - მისდა სამკვიდროდ გამორჩეული“ (ფსალ. 32.12).

თქვენთვის მლოცველი,

ილია მეორე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, შობა ქრისტესი 2023 წელი

8 თებერვალი - წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღე

სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა დავით აღმაშენებლის დაბადების 950-ე წლისთავს

8 თებერვალს საქართველოში აღინიშნება ორი ღირშესანიშნავი თარიღი – წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენებისა და ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღე.

2023 წლის 6 თებერვალს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ამ თარიღებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

შეკრებილ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა პრორექტორმა სამეცნიერო დარგში, თეოლოგიის დოქტორმა, დიაკვანმა ცოტნე ჩხეიძემ. ქართველი ერისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ,,დიდებული მეფისა“ და ,,დიდებული კაცის“ - წმინდა დავით აღმაშენებლის - წარუშლელი ღვაწლის აღიარების დასტურად მან ილია ჭავჭავაძის სიტყვები გაიხსენა: ,,საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას (ახალი სტილით 8 თებერვალს) დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვან დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად“. ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ახლადდაარსებულ უნივერსიტეტს უნდა ეტვირთა ერის ინტელექტუალური და სულიერი აღმავლობის მისია.

კონფერენციაზე მოხსენებით – „წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი“ – წარდგა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელდარ ბუბულაშვილი. მომხსენებელმა ამომწურავად ისაუბრა წმ. დავით აღმაშენებლის ღვაწლზე, მის მიერ განხორციელებულ სახელისუფლო, საეკლესიო, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმებზე, მის პიროვნულ ღირსებებზე – ქველმოქმედებასა და რელიგიურ შემწყნარებლობაზე, მეფის მიერ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ გამართულ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაზე, რომელიც დიდგორის ბრძოლის ან ,,ძლევაი საკვირველის“ (1121 წლის 12 აგვისტო) სახელითაა ცნობილი. ბატონმა ელდარმა საინტერესო ფაქტებით დაადასტურა დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული ავტორიტეტი იმდროინდელ მსოფლიოში, შეეხო ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებს წმინდა გრაალისა და ანსელუსის ჯვარის შესახებ, რომლებიც, ზოგიერთი მოსაზრებით, დავით აღმაშენებლის სახელსაც უკავშირდება.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე დამსწრეთ წარუდგა მოხსენებით – „8 თებერვალი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღეა“. მეცნიერმა ისაუბრა იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებიც უნივერსიტეტის დაარსებას უძღოდა წინ. აღნიშნა, რომ, მართალია, პირველი უნივერსიტეტი 1918 წლის 8 თებერვალს გაიხსნა, მაგრამ იდეა უნივერსიტეტის დაარსებისა, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, გაჩნდა. მომხსენებელმა ისაუბრა ილიასა და სამოციანელთა განსაკუთრებულ დამსახურებაზე ამ იდეის განხორციელების თვალსაზრისით, სირთულეებზე, რაც თან სდევდა ასეთი დიადი ჩანაფიქრის აღსრულებას, ივანე ჯავახიშვილის დაუღალავ ცდაზე - დაეარსებინა პირველი ქართული უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის პირველ რექტორებსა და პროფესორ-მასწავლებლებზე. მოხსენების დასასრულს ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ სწორედ უნივერსიტეტის ფესვებზეა ამოზრდილი ყველა სხვა საგანმანათლებლო კერა საქართველოში.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ. მან მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს აღნიშნულ საკითხთა ღრმა, საფუძვლიანი და მეტად საგულისხმო ანალიზისთვის. ისაუბრა დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ ღვაწლსა და დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე, მის ღვთივსათნო ცხოვრების წესზე, ეკლესიურ ცნობიერებაზე; ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეასა და განათლების, რწმენისა და ცოდნის ერთობლიობის მნიშვნელობაზე.

მოხსენებები წაიკითხეს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორებმა

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კათედრათა წარმომადგენლები - პროფესორ-მასწავლებლები - ფართო აუდიტორიის წინაშე ტრადიციულად კითხულობენ თემატური და შინაარსობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვან, საინტერესო და საგულისხმო სიახლეთა შემცველ მოხსენებებს.

13 თებერვალს აუდიტორიის წინაშე მოხსენებებით წარდგნენ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრები - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლელა ხაჩიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ხვთისო ზარიძე.

ქალბატონი ლელა ხაჩიძის მოხსენების თემა იყო წმინდა გიორგი მთაწმინდელის მარხვანი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაშრომში პირველად გამოქვეყნდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენლის - წმინდა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ-რედაქტირებული უნიკალური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის - მარხვანის - აკადემიურად დადგენილი ტექსტი XI-XV საუკუნეების შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერის მიხედვით.

ამ კრებულში დაცულია ქრისტიანული ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლების - დიდი წმინდანების - დიდმარხვისათვის განკუთვნილი მრავალრიცხოვანი საგალობლის ქართული თარგმანები, რომლებიც წმინდა გიორგი მთაწმიდელის მიერაა თარგმნილი ბერძნულიდან ან მის მიერაა რედაქტირებული.

მსგავსი სისრულის კრებული დღეისათვის ცნობილ ბერძნულ მარხვანებში არ გვხვდება. ამავე კრებულში დაცულია X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის 100-ზე მეტი საგალობელი.

მარხვანის წმინდა გიორგი მთაწმიდელისეული რედაქცია ქრისტიანული პოეზიის მდიდარ საუნჯეს წარმოგვიდგენს. ამ დიდებულმა ქმნილებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში. ეს საგალობლები ღვთისმეტყველების, ლიტურგიკის და, ზოგადად, სულიერების სრულყოფილ ნიმუშებს წარმოადგენს. თვით ჩვენი ეკლესიის კანონმდებლის - წმინდა გიორგი მთაწმიდელის სიტყვით - „ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანა იპოვების, არცა ქართველთა“.

ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც საასულიერო აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ, პროფესორმა ლელა ხაჩიძემ ამ უნიკალური კრებულის შესწავლა დაიწყო და გამოაქვეყნა არაერთი გამოკვლევა მის შესახებ. წიგნი 2022 წელს გამოიცა და მიეძღვნა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 90-ე წლისთავს. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მხარდაჭერით.

ქალბატონმა ლელამ დიდი მადლიერებით აღნიშნა, რომ ნაშრომზე მუშაობისას მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიერ გამოჩენილი თანადგომა და დახმარება.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ხვთისო ზარიძემ წაიკითხა მოხსენება სათაურით - ,,წმინდა ევსტათი მცხეთელის წამება“ - ,,ნეტარმან ევსტათი განიცინნა...“

მეცნიერმა ვრცლად ისაუბრა ჰაგიოგრაფიული ჟანრის კანონზე, ქართული და ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მსგავსებათა და თავისებურებათა შესახებ. აღნიშნა, რომ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის პირველი თხზულებები ბიზანტიურ-რომაულ ქრისტიანულ გარემოში შეიქმნა (I-IVსს) და იქიდან თანდათანობით გავრცელდა დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში, მათ შორის საქართველოშიც. განსხვავებული იყო ბიზანტიური და ქართული ჰაგიოგრაფიის წარმოშობის საფუძვლები. ქართული მარტვილოლოგიის წარმოშობის მიზეზი ქვეყნის შიდაპოლიტიკური და შიდარელიგიური დაპირისპირება კი არ გამხდარა, არამედ სპარსელ და მუსლიმ მომხდურთა წინააღმდეგ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ინტერესების დასაცავად წარმოებულ ბრძოლებში გამოვლენილი თავდადება და სიმამაცე.

მომხსენებელმა სწორედ მე-6 საუკუნის ანონიმი ავტორის ,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ საფუძველზე წარმოაჩინა ის თავისებურებანი, რაც ქართულ მარტვილოლოგიას გამოარჩევს შესაბამისი ეპოქისა და ჟანრის ბიზანტიური თხზულებებისაგან.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.

გვერდი მოამზადა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურმა

კონტაქტები

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა თანამშრომლობა "დავითიანნთან"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ 16 წელია აქტიურად მუშაობს და თანამშრომლობს ახალგაზრდებთან.

ორგანიზაციის მიზანია ახალ თაობაში განამტკიცოს ეროვნული და სულიერი ფასეულობები.

„დავითიანნმა“ ამ წლების განმავლობაში, თბილისის 100-ზე მეტ საჯარო და კერძო სკოლაში ხელი შეუწყო სხვადასხვა კლუბების ფორმირებას, რომელთა წევრები აქტიურად არიან ჩართული ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასა და განვითარებაში.

„2009 წლიდან დავიწყეთ საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი – „წიგნიერი და ლიდერი თაობა“, რომელშიც ყოველწლიურად თბილისის 40-მდე სკოლის 200-მდე მოსწავლე მონაწილეობს.

ამ პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ შემდეგი მიმართულების ლექცია-სემინარები და აქტივობები:

ძველი აღთქმა;
ახალი აღთქმა;
კატეხიზმო;
მსოფლიო რელიგიების ისტორია;
ტოლერანტობა;
ფსიქოლოგების ტრენინგები სხვადასხვა თემაზე;
პროფორიენტაციის მიმართულება.

ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა და გაგვიჩნდა იდეა – ჩვენი გამოცდილება გაგვეზიარებინა პედაგოგობის მსურველი ახალგაზრდებისთვის და საუკეთესო კანდიდატებად სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები შეგვერჩია. თუმცა პანდემიამ შეგვაფერხა და ჩვენი სურვილის განხორციელება მხოლოდ 2022 წლის ოქტომბერში დავიწყეთ.

პირველ რიგში „დავითიანნში“ შევადგინეთ არაფორმალური განათლების ტრენერთა გადამზადების სამუშაო გეგმა, პროგრამა და გავაცანით სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ადმინისტრაციას, პრორექტორ დეკანოზ ბესარიონ ცინცაძის ხელმძღვანელობით. როგორც მოსალოდნელი იყო, მივიღეთ თანხმობა და დაიწყო საქმიანი თანამშრომლობა. შეირჩა ანაზღაურებადი სტაჟირების მსურველი კანდიდატები, რომელთაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ტრენინგები გაიარეს.

კანდიდატებს გასაუბრებაზე გავაცანით ჩვენი მიზნები და სტაჟირების პირობები, „დავითიანნის“ მუშაობის პრინციპები, სწავლებისა და კონკურსების საკითხები.

საბოლოო მიზნის მისაღწევად – დამოუკიდებლად ჩაეტარებინათ გაკვეთილები – სტაჟიორებმა გაიარეს ორთვიანი პრაქტიკის კურსი.

პრაქტიკის შინაარსი ასეთი იყო:

„დავითიანნის“ პროგრამების გაცნობა;

ლექციებზე დასწრება და სალექციო საკითხების განხილვა;

უკუკავშირები – ინტერაქტივები;

თითოეული ლექციის თემატიკის განხილვა;

პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა ჯგუფურად, წყვილებში და ინდივიდუალურად;

მეთოდური მუშაობის გაცნობა;

გაკვეთილის გეგმის შედგენა;

სილაბუსების შედგენა;

საცდელი გაკვეთილის მომზადება;

და ბოლოს გაკვეთილის ჩატარება ინდივიდუალურად.

აღსანიშნავია, რომ სტაჟიორებმა გამოწვევებს კარგად გაართვეს თავი და გაამართლეს ჩვენი მოლოდინი.

ექვსმა სტაჟიორმა წარმატებით გაიარა ორთვიანი პრაქტიკა, მიიღო პედაგოგიური გამოცდილების პრაქტიკული შესაძლებლობა და დასაქმდა „დავითიანნში“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ისინი ეუფლებიან მოსწავლეებთან სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მათ მუშაობას და სრულყოფილად დაეხმარებიან მოსწავლეებს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაში.

კოტე სვანაძე,
საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“ პრეზიდენტი,

ნიკოლოზ ცხომელიძე,
„დავითიანნის“ არაფორმალური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი.

♦ ♦ ♦

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ორგანიზაცია „დავითიანნმა“ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებს საშუალება მოგვცა გაგვევლო არაფორმალური განათლების ტრენერთა მოსამზადებელი პრაქტიკული და თეორიული კურსი თეოლოგიაში, რის შედეგადაც ამავე ორგანიზაციაში დავსაქმდით ლიდერთა კლუბის ხელმძღვანელ-კურატორებად და ასევე სალექციო კურსის ტრენერ-მასწავლებლებად თეოლოგიაში. ლიდერთა სკოლა გულისხმობს მოსწავლეთა ჩართულობას შემეცნებით და ასევე სპორტულ აქტივობებში. ყველა ამ პროექტს კი ხელმძღვანელობს და კურირებს „დავითიანნის“ საკურატორო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებით. ჩემთან ერთად ესენი არიან: ეკა ხოფერია, მარიამ საღია, თემურ სირბილაშვილი, ნინო ლომიძე და ანანო ქარდავა. „დავითიანნის“ და ასევე კურატორ-მასწავლებელთა დიდი სურვილი და მონდომებაა, რაც შეიძლება მეტ სკოლასთან თანამშრომლობა და სამომავლო ურთიერთობა, რაც მომავალი თაობების განათლებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

ვეცდებით, დავეხმაროთ ჩვენს დამსაქმებლებს ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებაში.

თამარ მათიაშვილი,
ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

♦ ♦ ♦

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ორგანიზაცია „დავითიანნში“ 2022 წლის ნოემბრიდან დაგვეწყო არაფორმალური განათლების ტრენერთა მოსამზადებელი ორთვიანი პრაქტიკული და თეორიული კურსი თეოლოგიაში. თავდაპირველ ეტაპზე გავიარეთ გასაუბრება, შემდგომ ძველი და ახალი აღთქმიდან მოვამზდეთ პრეზენტაციები. მომდევნო ეტაპი კი მოიცავდა გაკვეთილის დაგეგმვასა და იმიტირებულად ჩატარებას, საბოლოოდ კი მოსწავლეებთან რეალურ გაკვეთილის წარმართვას. ჩვენ ასევე გვქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდით პრეზენტაციების შეფასების სისტემას და განგვეხილა სკოლის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები. ასევე ვესწრებოდით მოსწავლეების ტესტირებებს და ამის შემდეგ ვიგებდით, თუ რა სტილითა და ფორმატით შეიძლება ტესტის შედგენა. წარმატებით გავიარეთ სტაჟირება და 2023 წლის 8 თებერვალს გადმოგვეცა „დავითიანნის“ სერთიფიკატები. საიუბილეო საღამოზე მოწვეულნი იყვნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე და პედაგოგ-მასწავლებლები.

„დავითიანნის“ახალი პროექტი მიზნად ისახავს სკოლე-

▶ მხუთე გვერდზე

▶ მეოთხე გვერდიდან

ბთან მუშაობას არაფორმალური განათლების კუთხით. წელიწადში 500-მდე მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს პროექტში და შეისწავლოს ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა და მსოფლიო რელიგიების ისტორია. ეს ხელს შეუწყობს ორგანიზაცია „დავითიანნის“ მესვეურების მთავარი მიზნის განხორციელებას და ახალგაზრდობის დედაეკლესიის წიაღში დამკვიდრებას.

ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველა გზა საკუთარი თავის ძიების პროცესს უკავშირდება. ორგანიზაცია „დავითიანნში“ თანამშრომლობის პერიოდიც ამ ძიების ნაწილად მიმაჩნია. გზა კი გრძელია და, ვფიქრობ, ჩემთვის მრავალი წარმატების მომტანი. „დავითიანნის“ მესვეურთა მადლობელი ვარ ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ამ ახალი ეტაპისათვის.

ანანო ქარდავა,
ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

♦ ♦ ♦

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია „დავითიანნში“ მუშაობა, რადგან აქ, სასულიერო სემინარიაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების საშუალება მეძლევა.

ტრენინგების პერიოდში ბატონები კოტე და ნიკოლოზი გვაცნობდნენ და გვმოძღვრავდნენ როგორ უნდა ვიმუშავოთ ბავშვებთან, რა არის საჭირო მათთან კომუნიკაციისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია სხეულის ენა, როგორ უნდა გავუმკლავდეთ პროვოკაციულ კითხვებს და ა. შ.

„დავითიანნის“ შესახებ დაახლოებით 2015-2016 წლებში შევიტყვე და მას შემდეგ, ინტერნეტსივრცეში ამ ორგანიზაციის შესახებ გავრცელებული თითქმის ყველა ვიდეოჩანაწერი ვნახე, იქნება ეს სალექციო კურსები თუ პოლემიკური ჟანრის შეხვედრები. ყოველთვის მინდოდა ამ საოცარ გარემოში მოხვედრა და უცხოეთიდან საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულს, ერთი წლის თავზე, ღმერთმა ეს ოცნება ამისრულა. მინდა ენთუზიაზმით შევუდგე საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს, ან რა უნდა იყოს იმაზე უფრო ტკბილი, როდესაც ცდილობ სხვა პიროვნებას ღმერთი, ეკლესია და ადამიანი შეაყვარო. ეს ყველაფერი კი უნდა მოხდეს ძალიან ფაქიზად, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორს, დეკანოზ ბესარიონ ცინცაძეს, სემინარიის დეკანს, მღვდელ გიორგი ვაშალომიძეს. სწორედ მამა ბესარიონსა და მამა გიორგის მიუძღვით დიდი წვლილი, რომ მომეცა საშუალება, „დავითიანნში“ გამომეცადა საკუთარი შესაძლებლობა.

თემურ სირბილაშვილი,
სემინარიის მე-2 კურსის სტუდენტი

♦ ♦ ♦

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო დეკან, მამა თეიმურაზ მჟავანაძეს, ჩემდამი გამოხატული ნდობისათვის, რომ მომეცა შესაძლებლობა ჩვენს სასწავლებელში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებისა, კერძოდ, ახალი და ძველი აღთქმისა.

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულ მოძრაობა „დავითიანნში“ გავიარე არაფორმალური განათლების ტრენერთა მოსამზადებელი ორთვიანი კურსი თეოლოგიაში, რომელიც წარმატებით დავასრულე. კურსის შემაჯამებელი ცერემონიალი სიმბოლური სახით „დავითანნის“ „დაბადების“ დღეზე გაიმართა. პრაქტიკული და თეორიული კურსის მონაწილეებს გადმოგვეცა სერთიფიკატები. ჩვენ უკვე შეგვიძლია, სკოლებში ვიმუშაოთ არაფორმალური განათლების კუთხით, რადგან ეს კურსი მოიცავდა ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც საამისოდ უპირობოდ მნიშვნელოვანია. ჩვენი სურვილი და მიზანია, მოსწავლეებს გავუღრმავოთ ცოდნა და არსი ძველი და ახალი აღთქმისა, ვასწავლოთ კატეხიზმი და მსოფლიო რელიგიების ისტორია. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს წვლილს შევიტანთ იმაში, რომ ახალგაზრდები მოისურვებენ ღვთისათვის სათნო გზაზე სიარულსა და მისი მცნებებით ცხოვრებას. ჩვენი მიზანია, ისინი დაუახლოვდნენ ღმერთს, გახდნენ ღვთის მეგობრები. ახლა საშუალება გვეძლევა ის ცოდნა-გამოცდილება, რომელიც სასულიერო აკადემიაში თეორიული, ხოლო პრაქტიკული კუთხით „დავითიანნში“ ტრენერისგან მივიღეთ, სკოლებში გადავცეთ მრევლს, რათა სარწმუნოების ძირითად საკითხებში გარკვევა უფრო გაუადვილდეთ. ასევე გაუღრმავდეთ ღვთის რწმენა და მისადმი სიყვრული. მადლობას ვუხდი „დავითიანნის“ პრეზიდენტს, ბატონ კოტე სვანაძეს, იმ

უანგარო თავდადებისთვის, რომელსაც ზოგადად ერის კეთილდღეობისა და სულიერი ზრდისთვის იჩენს. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ნიკა ცხომელიძეს, იმ დაუღალავი შრომისათვის, რომელიც თითოეული კურსანტისთვის გასწია. „დავითანნი“ ახალი სასწავლო წლიდან კვლავ აპირებს უკვე მეორე ნაკადის მიღებას. მე ვურჩევ ყველა წარჩნებულ სტუდენტს, მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში, რადგან ძალიან დიდი, ახალი და საინტერესო გამოწვევა იქნება თითოეული მათგანისათვის. ამავე დროს სწავლების დასრულების შემდეგ ბევრი კეთილი საქმის აღმსრულებლები გახდებიან.

მარიამ სალია,
ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

პროფესორ რევაზ სირაძის თხზულებათა ტომების პრეზენტაცია ლიტერატურის ინსტიტუტში

8 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა რამდენიმე წლის წინათ ტრაგიკულად გარდაცვლილი მეცნიერის, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რევაზ სირაძის თხზულებათა ექვსტომეულის პირველი ორი ტომის პრეზენტაცია. შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები: ანდრო ბედუკაძე, ლევან ბრეგაძე, როსტომ ჩხეიძე, მანანა კვაჭანტირაძე, ქეთევან ელაშვილი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული.

პროფესორმა ირმა რატიანმა გაიხსენა ბატონი რევაზ სირაძე, როგორც ძალზე ნაყოფიერი და ფართო მასშტაბის მეცნიერი, რომელმაც ახალი ხედვები შემოიტანა ქართველოლოგიურ კვლევებში და შექმნა თავისი სკოლა. სწორედ ამ ღვაწლის გათვალისწინებით მისი თხზულებათა ტომებით დაიწყო ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდმა საგურამოს პრემიის ლაურეატების შრომების გამოცემა. ქალბატონმა ირმამ მადლობა გადაუხადა რევაზ სირაძის თხზულებათა გამომცემელ სარედაქციო კოლეგიას.

პროფესორმა ანდრო ბედუკაძემ რევაზ სირაძის ღვაწლზე საუბარისას წარადგინა ილია ჭავჭავაძის ფონდის მიერ გამოსაცემი წიგნების პროექტის პრეზენტაციაც. დაასახელა მომავალში გამოსაცემი წიგნები: რევაზ სირაძის თხზულებათა ექვსტომეული, ასევე, თამაზ ჩხენკელის, ბაჩანა ბრეგვაძის, ლევან ბრეგაძის, ზურაბ კიკნაძის, რეზი თვარაძის შრომები. მანვე იმედი გამოთქვა, რომ ყველას თანადგომითა და რევაზ სირაძის შრომების დამფინანსებელი ორგანიზაციის მხარდაჭერით განახორციელებენ ამ მასშტაბურ პროექტებს.

პროფესორმა ლევან ბრეგაძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდმა სწორედ იმ მეცნიერის თხზულებების გამოცემით დაიწყო თავისი მასშტაბური მოღვაწეობა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებას.

პროფესორი როსტომ ჩხეიძეც მიესალმა ცნობილი ქართველი მეცნიერების თხზულებათა გამოცემის იდეას. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რევაზ სირაძის ნაშრომს - „ქართული ესთეტიური აზროვნების ისტორიიდან“. ბატონმა როსტომმა ასევე გაიხსენა რევაზ სირაძის შესახებ მკვლევარ ლია კარიჭაშვილის ინიციატივით გამოცემული წიგნი, სადაც გადაჭარბების გარეშეა აღწერილი მეცნიერის სამაგალითო ცხოვრება.

აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა დიდი კმაყოფილებით მოიხსენია ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდის მიერ ქართველ მეცნიერთა თხზულებების გამოცემის იდეა. მანვე აღნიშნა, რომ სიმბოლურია ეს გამოცემები ბატონ რევაზ სირაძის თხზულებებით დაიწყო; ეს საქმე დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს და აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. მან რევაზ სირაძის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან გამორჩევით აღნიშნა ქართული ესთეტიური აზროვნების კვლევა.

პროფესორმა მანანა კვაჭანტირაძემ სიყვარულით გაიხსენა ბატონო რევაზ სირაძე და განსაკუთრებით გამოყო მისი თვისებები - სხვისი აზრის მოსმენა, სიახლეების ძიება, ცნობისმოყვარეობა. ეს ყოველივე ბატონ რევაზს ფართო დიაპაზონის მკვლევარად აყალიბებდა. მისი წიგნების გამოცემით საფუძველი ჩაეყრება ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიას, - განაცხადა ქალბატონმა მანანამ. მანვე ისურვა აკაკი გაწერელიასა და მიხეილ კვესელავას თხზულებათა გამოცემაც...

პროფესორმა ქეთევან ელაშვილმა გაიხსენა რევაზ სირაძის მიერ დაფუძნებული ქრისტიანული კულტურის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიდი მადლიერება გამოხატა მამის თხზულებების გამოცემის გამო მეცნიერის ქალიშვილმა, ქალბატონმა ქეთი სირაძემ, განსაკუთრებით კი ამ წიგნების რედკოლეგიისადმი, მისი მთავარი რედაქტორის, პროფესორ ანდრო ბედუკაძის მიმართ.

პროფესორმა ანდრო ბედუკაძემ შემაჯამებელ სიტყვაში მადლიერება გამოხატა მკვლევართა გამოსაცემი თხზულებების რედაქტორებისადმი, მათი შრომატევადი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო.

გიორგი მაისურაძე

როგორ იქმნებოდა ბიბლიის აუდიოვერსია – საუკუნის პროექტი

14 წლის წინათ, 2009 წლის პირველ მაისს საქართველოს საპატრიარქოში ბიბლიის აუდიოვერსიის პრეზენტაცია გაიმართა.

ამ დღიდან ბიბლიის სრული აუდიოვერსია ქართველი ერის სულიერი საუნჯის სამაგილითო მონაპოვარი გახდა.

აუცილებლად მივიჩნიეთ, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა ახლანდელი თაობისა და გაზეთ „კლიტე დავითისის“ დღევანდელ მკითხველთათვის გაგვეცნო ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის ხორცშესხმის ისტორია.

შესანიშნავმა მსახიობმა, პუბლიცისტმა, მწერალმა და მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატმა გოგი ხარაბაძემ საუკუნის დასაწყისში გამორჩეულობით მომადლებული აუდიოჩანაწერების შექმნა განიზრახა. 2006 წელს კი უკვე თავისი შრომის ნაყოფი საზოგადოებას წარუდგინა. ეს იყო 29 ფირფიტაზე ჩაწერილი წმიდა ოთხთავის, ქართული და მსოფლიო პოეზიის შედევრების, „ვეფხისტყაოსნის“, აკაკის, ვაჟას პოეტური ქმნილებების გახმოვანებული ტექსტები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ისე მოიწონა გოგი ხარაბაძისა და მისი თანამოსაგრეების მიერ შესრულებული ეს სიახლე, რომ აღფრთოვანებულმა დალოცა პროექტის მონაწილენი.

იქნებ სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბატონმა გოგიმ თავისი წადილის და დიდი ხნის ნაფიქრის ხორცშესხმა.

გოგი ხარაბაძე: ბიბლიის აუდიოვერსიის შექმნა რომ გადავწყვიტე, უწმინდესის კურთხევის მომლოდინე, სამების ტაძრის საკურთხეველში, მის შორიახლოს მორიდებით ავიტუზე, პატრიარქმა მიმიხმო, მის წინ მუხლებზე დავდექი და ვუთხარი, რომ ბიბლიის აუდიოვერსიის ჩაწერას ვაპირებდი. ძალიან დიდხანს მიყურა, ჩვენი თავები ახლოს იყო ერთმანეთთან, ბოლოს პატრიარქმა მითხრა: „მიიღეთ ჩემი ლოცვა-კურთხევა, ღმერთმა შეგაძლებინოთ!“ პირჯვარი გარდამსახა, თავზე ხელი მომხვია და მკერდთან მიმიხუტა. ეს ისეთი ნეტარების წუთები იყო, რომ მინდოდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო.

აი, ასე დაიწყო.

სამი წლის განმავლობაში ტექსტს ყოველ შაბათ დღეს, დილით ვწერდი, სანამ ძალ-ღონე მყოფნიდა, ვკითხულობდი, საღამოობით კი პატრიარქთან ლოცვაზე მივდიოდი. უწმინდესი ყოველთვის მეკითხებოდა, როგორ მიმდინარეობდა მუშაობა. ერთხელ დაინტერესდა, ჩაწერამდე რამდენჯერ ვკითხულობ ამა თუ იმ მონაკვეთს. 50, 60, 100-ჯერ-მეთქი. პატრიარქს ესიამოვნა...“

ეს გრძელდებოდა ორ წელზე მეტ ხანს და ერთხელაც გოგი ხარაბაძე სულ სხვა განწყობით ეახლა პატრიარქს...

და სანამ მკითხველს ამის თაობაზე ვუამბობ, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ის შემოქმედნი, რომელთაც ამ პროექტის ხერხემალთან, იდეის ავტორსა და შემსრულებელთან - ბატონ გოგისთან შეძლეს ეს საშვილიშვილო საქმე.

საქართველოს ტელევიზიაში წმინდა ოთხთავის ტელევერსიის შემდეგ, „სანოს“ სტუდიაში ჩაწერილ „ახალ ქართულ პროექტზე“ გოგი ხარაბაძეს მხარში ედგნენ პროდიუსერები **თამარ ცაგარეიშვილი, გოგი ხარაბაძე - უმცროსი, მერაბ სანოძე და მხატვარი კოტე ჯაფარიძე.** სწორედ მათ იტვირთეს ბიბლიის აუდიო ვერსიის ხორცშესხმა. მათთან იყო შესანიშნავი კომპოზიტორი და ორიგინალურად მოაზროვნე, მრავალი სიახლის თაოსანი **ნოდარ მამისაშვილი.**

პროექტის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პროტოპრესვიტერმა **გიორგი ზვიადაძემ.** მან თამარ ცაგარეიშვილსა და გოგა ხარაბაძეს თეოლოგი **გიორგი გვასალია** კონსულტანტად გაუმწესა, პროცესისადმი მუდამ ყურადღებას იჩენდა და, უნდა ითქვას, მის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

როგორ ესხმებოდა ხორცი ხარაბაძის იდეას?

პროდიუსერი **თამარ ცაგარეიშვილი:** გოგიმ ადამიდან ქრისტეს აღდგომამდე, ყველა წინასწარმეტყველი და გმირი გააცოცხლა. ჩემთვის ეს დიდი პერფორმანსი - ყურება იყო, მისი ჩაწერა - ჯადოსნური რამ. შაბათს სანოს სტუდიაში 12 საათზე შედიოდა და ჩაწერა გაუჩერებლად ორი-სამი საათი გრძელდებოდა. შედიოდა თანამედროვე ადამიანი და ჩაწერის დროს მისტიფიკაცია ხდებოდა: უცებ ძველ აღთქმაში ხვდებოდი.

ჭაბუა ამირეჯიბმა ამ პროექტს ხმა მომავალში უწოდა. ისეთი სიღრმის ტექსტი და სათქმელია ამეტყველებული, რომ ყველა დროს გაუძლებს. ასე მგონია, ამის მომრევი ნაკლებად გამოჩნდება. ეს არ არის მსახიობის ჩაწერილი, ეს ღვაწლია.

„მარტო კაცი, ღვთის ჩაურევლად თავს ვერ დაადგამდა ამ საქმეს. უწმიდესის ლოცვა-კურთხევამ გამაბედვინა პირველი ნაბიჯის გადადგმა, მანვე დამამშვიდა და გამამხნევა მუშაობის პროცესში,“ - ასე იწყებს პროექტთან დაკავშირებულ ყველა საუბარს ბატონი გოგი და ეს, მართლაც, ასეა, როგორც საქართველოში დაწყებული და განხორციელებული ყველა ღვთისნიერი საქმის შემწემ და მფარველმა, ამჯერადაც პატრიარქმა იტვირთა ბიბლიის აუდიო-ვერსიის შექმნის მეურვეობა.

> „ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, - ᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-�პᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ, - ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲑᲘᲑᲚᲘᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲚᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ...
>
> ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲘᲪ ᲕᲐᲠᲗ, ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲓᲐᲕᲐᲠᲫᲕᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲜ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ, ᲐᲜ ᲙᲐᲠᲑᲐᲕᲡ ᲛᲐᲓᲚᲡ. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲠᲑᲐᲕᲡ. ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: ᲨᲔᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲑᲝ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲑᲠᲐᲛ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔ. ᲨᲔᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲑᲝ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲘᲙᲐᲠᲑᲐᲕᲡ, ᲛᲐᲑᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲓᲐᲙᲐᲠᲑᲔ ᲛᲐᲓᲚᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲑᲔ. ᲐᲘ, ᲐᲛ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲝᲕᲔᲑᲐ - ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲠᲪᲝᲑᲐ, ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲛᲝᲤᲔᲜᲐ...“
>
> *უწმინდესი და უნეტარესი ილია II*

მერწმუნეთ, ყოველი წინადადება განხილვის, მსჯელობის საგანი იყო და ისევ ბატონი გოგის სიტყვებს მოვიშველიებ: „ყოველ სტრიქონზე ოფლის გარდა, სისხლი იღვრებოდა“.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი, რა მოცულობის სამუშაოზეა საუბარი: უნდა ჩაწერილიყო მთელი ბიბლია, შესაქმედან - აპოკალიფსის ჩათვლით. ჯერ წარმოვიდგინოთ დროის რა უზარმაზარი პერიოდია: სამყაროს წარმოშობიდან ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე.

შემდეგ სახეების გალერეას გადავხედოთ:

ადამიდან - მაცხოვრამდე.

ამასთან ყველა ეპოქა, ყველა სახე ინდივიდუალურ მიდგომას, გახსნას საჭიროებდა“.

მერაბ სანოძე: - როცა გოგი წერს, მისი ყურება და სმენა ერთი სიამოვნებაა, ცალკე სპექტაკლია. უნდა გენახათ, თეთრ პერანგში,

▶ მეშვიდე გვერდზე

▶ მეექვსე გვერდიდან

თეთრი წვერით, თეთრი თმით... ჩაწერის დროს ნელ-ნელა შედიოდა ემოციებში და ბოლოს ირეოდა, ყალყზე დგებოდა ეს თმაც, პერანგიც და მთლიანად ეს კაციც. რომ ვუცქეროდი, ვეღარ ვუძლებდი და გარეთ გამოვდიოდი. არანორმალურად დიდი ენერგიის პატრონია.

ჩემი სტუდიის თანამშრომელს, ხმის რეჟისორს დიმიტრი თეიმურაზოვს, რომელმაც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ამ პროექტში, ზოგჯერ ავიწყდებოდა უშუალოდ საკუთარი საქმე და გარინდებული უცქეროდა ამ საოცრებას“.

კომპოზიტორი **ნოდარ მამისაშვილი,** სამწუხაროდ, გარდაცვლილია.

ბიბლიის აუდიოვერსიაზე მუშაობის პროცესს მიეძღვნა გაზეთ „კლიტე დავითისის“ 2008 წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში დაბეჭდილი წერილები.

ამჟამად მკითხველებს გავაცნობთ ბატონი ნოდარის მყუდრო ბინაში მაშინ ჩაწერილი ტექსტის ამონარიდებს: — „ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს ვიცხოვრე იმისთვის, რომ ბიბლიისთვის მუსიკა შემექმნა. ბიბლია არ არის მხოლოდ მარადიული წიგნი და წიგნთა წიგნი, მასში თვითონ არის სიტყვის მუსიკა და სიტყვის მუსიკას რომ კიდევ მუსიკა დაუწერო, ეს, ცოტა არ იყოს,

... და თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. მუდმივი ანგარიშით პატრიარქთან გოგი ხარაბაძის სტუმრობა.

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ერთ დღეს კი... აპოკალიფსამდე მისული...

თვითონ გოგი ხარაბაძეს მოვუსმინოთ:

„ — როგორც ზვავი, ისე ჩამოწვა „აპოკალიფსი“. ჰო, ქვეშ მომიყოლა. საიდან არ მივუდექი. ძვრა ვერ ვუყავი.

კონსულტანტები ჰყავს ბიბლიის აუდიო-ვერსიას, განსწავლული, ღრმა, მცოდნე ხალხი. იმათ მივაკითხე. დამამშვიდეს, არ შეშინდეთ, ბატონო გოგი, „გამოცხადება“ ყველაზე ამოუცნობი, მიუწვდომელი მასალაა.

საბოლოო განაჩენს მაინც უწმიდესისაგან ველოდი.მისი დასტური მჭირდებოდა.

უცხოსავით ვიჯექი ოთახში, სადაც ხშირად მმასპინძლობს. ვღელავდი? უფრო მეტი... ბავშვივით მიფანცქალებდა გული. არ ვიცოდი, რითი დამეწყო, ყელში მებჯინებოდა სათქმელი, თან თითქოს სიტყვები დამკარგვოდა და ჯიქურ გამომივიდა:

— უწმინდესო, „აპოკალიფსისის“ ჩაწერას არ ვაპირებ.

— რათა? - მკითხა ჩვეული სიმშვიდით.

„ბიბლია“ არის ღვთის სიტყვა. ეკლესია და ყველა სასულიერო პირი უაღრესად მადლიერები ვართ იმ უზარმაზარი შრომისა და ძალისხმევისათვის, რაც ბატონმა გოგიმ ამ პროექტში ჩადო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ურთიერთობამ და სიახლოვემ მისცა მას უზარმაზარი ძალისხმევა, რომ მას ეს მნიშვნელოვანი, მართლაც, საუკუნის პროექტი განეხორციელებინა. მისი მიზანია, ყველა ადამიანს მიეცეს საშუალება, ღვთის სიტყვა მოისმინოს. საქართველოს მოსახლეობა მისი დახმარებით გზას გაიკვლევს ღვთისა და წმინდა ეკლესიისაკენ...“

ირინეოსმიტროპოლიტი ვითარი ზეიადაძე

რთული ამოცანაა. ჩემი სამუშაო, ძირითადად, ავაგე მოგზაურობაზე დროში. თუ დროში არ იმოგზაურე, გაგიძნელდება ამ მარადიულ წიგნს მუსიკა მიუსადაგო. ასევე უნდა გაითავისო ძველი ეგვიპტის, ძველი ებრაული, სირიული, ბიზანტიური, მათ შორის, ქართული კულტურაც. ძველ ქართულ საგალობლებთან ერთად ჩემი მნიშვნელოვანი საყრდენი პატრიარქის საგალობლები იყო. მარადისობა მრავალ ეპოქას, მრავალი ხალხის კულტურას მოიცავს. წმინდა მამების გენიალობაც სწორედ ის არის, რომ გარდა ამ სულიერი სიწმინდისა, ისინი ისეთ ფორმულებს ქმნიდნენ, რომლებიც ყველა ერის წარმომადგენელს აძლევდა საშუალებას, მაღალი სულიერების მუსიკა გაეთავისებინა. საგანგებოდ აღვნიშნავ - გოგი ხარაბაძის მიერ წაკითხული ტექსტიც კი მუსიკასავით ჟღერს“.

შემთხვევითი არ იყო პროექტში მხატვარ **კოტე ჯაფარიძის** მონაწილეობაც.

მას უშუალო და შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს გოგი ხარაბაძესთან და მის მიერ შექმნილი მხატვრული ფონი მთლიანად ესადაგება პროექტის ჩანაფიქრს.

— ასჯერ მაინც წავიკითხე... მე არაფერი მესმის და სხვას რას გავაგებინებ...

— მამაო დავით, მოიტანეთ „ბიბლია“.

იქვე ჩამოვსხედით, სავარძლებზე.

— დაიწყეთ! - იყო ბრძანება.

როგორია?! აბა, დაუჯექით პირისპირ საქართველოს პატრიარქს, თანაც ასეთს და წაუკითხეთ „ბიბლია“.

„ხომ იცით, „აპოკალიფსი“ - გამოცხადებას ნიშნავს. ღმერთი თავის რჩეულ შვილებს უცხადებს საიდუმლოს, რომელიც მომავალს ეხება, ახლა დაიწყეთ...“ - კიდევ გამიმეორა.

დავიწყე. ვკითხულობდი, მაჩერებდა, მიხსნიდა, შეფარვით მამხნევებდა კიდეც... „აი, ხომ ხედავთ, უკვე სხვანაირად კითხულობთ... განაგრძეთ“...

ფილადელფიის ეკლესიის ანგელოსს რომ მივადექით, პირჯვარი გადაიწერა და მითხრა:

„— ეს საქართველოზეა, ხომ იცით? სამების ტაძარში საკურთხევლის კარზე, შიგნიდან არის ამოტვიფრული ეს მონაკვეთი... განაგრძეთ...

სული მეკუმშებოდა, ალბათ, ნეტარებისგან. ვფიქრობდი, სულ ნურაფერი გამოვა, პარტიარქს „ბიბლიას“ ხომ ვუკითხავ-მეთქი.

წინადადება-წინადადება ამიხსნა ყოველი თავი, შუაღამე გადასული იყო, რომ დავტოვე, ყურებში მისი ხმა ჩამესმოდა:

„ღმერთი თავის რჩეულ შვილებს უცხადებს საიდუმლოს, რომელიც ძირითადად მომავალს ეხება...“

და გასრულდა სამწლიანი შრომა და ღვწა. 2009 წლის პირველ მაისს კი საქართველოს საპატრიარქოში 51 დისკზე ჩაწერილი „ბიბლიის“ აუდიოვერსიის პრეზენტაცია გაიმართა.

პატრიარქმა მაშინ ბრძანა:

„დღეს ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში, საქართველოსა და ეკლესიის ცხოვრებაში, - ბრძანა მაშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, - ხალხთან ბიბლიის ამ სახით მიტანა საუკუნეების მანძილზე ოცნება იყო...

იმას, რისი მოწმენიც ვართ, შემიძლია მოვლენა დავარქვა. ადამიანი ან მოიპოვებს, ან კარგავს მადლს. ბედნიერია, ვინც მოიპოვებს და საცოდავია, ვინც კარგავს. მახსენდება ერთი მოხუცის სიტყვები: შენ შეიძლება დაკარგო ჯანმრთელობა, მაგრამ ცოცხალი დარჩე. შენ შეიძლება დაკარგო სიმდიდრე, მაშინ არაფერი დაგიკარგავს, მაგრამ თუ დაკარგე მადლი, მაშინ ყველაფერი დაკარგე. აი, ამ შრომაში არის მადლის მოპოვება - მადლის გავრცობა, მადლის მოფენა...“

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა აუდიო ვერსიის ჩაწერის განხორციელებაში, ასე შეაფასა საუკუნის პროექტის მნიშვნელობა:

„ბიბლია“ არის ღვთის სიტყვა. ეკლესია და ყველა სასულიერო პირი უაღრესად მადლიერები ვართ იმ უზარმაზარი შრომისა და ძალისხმევისათვის, რაც ბატონმა გოგიმ ამ პროექტში ჩადო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ურთიერთობამ და სიახლოვემ მისცა მას უზარმაზარი ძალისხმევა, რომ მას ეს მნიშვნელოვანი, მართლაც, საუკუნის პროექტი განეხორციელებინა. მისი მიზანია, ყველა ადამიანს მიეცეს საშუალება, ღვთის სიტყვა მოისმინოს. საქართველოს მოსახლეობა მისი დახმარებით გზას გაიკვლევს ღვთისა და წმინდა ეკლესიისაკენ...“

გოგი ხარაბაძემ აღნიშნა:

„ბიბლია არის ჩემი ფარიც, რომელიც დამიცავს, და მახვილიც, რომლითაც დავიცავ...

... აქ ამოიკითხავ, რას ნიშნავს რწმენა, ღირსება, თავგანწირვა, პასუხისმგებლობა. ის გასწავლის, როგორ მიხვიდე ღმერთთან. რისთვის ღირს სიცოცხლე და რისთვის არ ღირს სიკვდილი; როგორ მოექცე მშობელს და როგორ არ უნდა მოექცე შვილს; როგორ „აღავლინო შენი მიწის ხსოვნა ლხინის სათავეში დევნილობისას“ და როგორ არ „იმღერო უფლის სიმღერა უცხო მიწაზე“, როგორ დახვდე მტერს და რა მიაგებო მოყვასს... გასწავლის, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ჩემი ღრმა რწმენით, ყველას აქვს თავისი ასპარეზი. მე ჩემი ასპარეზი ავირჩიე. „ბიბლიაზე“ მუშაობისას უწმიდესის ლოცვა-კურთხევა და სულიერი წინამძღოლობა იყო ჩემი ნების წარმმართველი...

ვინ იცის, ბიბლია რამდენჯერ გადაუწერიათ მონასტრებში ქართველ ბერებს, როგორი რუდუნებით გამოჰყავდათ თითოეული ასო, როგორ აღასრულებდნენ უდიდეს სამსახურს ერის ცნობიერებისთვის. გავიდა დრო და კალიგრაფის შრომა ბეჭდურმა მედიამ შეცვალა, ახლა, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, მარადიული წიგნის აუდიოვერსია შეიქმნა. ეს საქმე, მართლაც, საშვილიშვილოა. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ბიბლიას ნაზიარები შვილები“.

გივი შეყილაძე

P.S. ეს ვრცელი ინფორმაცია სრულყოფილი ვერ იქნება თუ არ გავიხსენებთ ღვაწლს ღირსეული მამულიშვილის, მეცენატის ბადრი პატარკაციშვილისას, რომლის თანადგომამაც განაპირობა საქართველოს მოსახლეობისათვის მასობრივად ხელმისაწვდომი გამხდარიყო ბიბლიის აუდიო ვერსია.

უახლესი ისტორიიდან

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის „დილის საუბრებიდან“

2005-2009 წლებში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი ბრძანდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

თითქმის ყოველ დილით სასწავლებელში მობრძანებულ უწმიდესს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სიხარულით ხვდებოდნენ და უშუალო და გულწრფელი საუბრები იმართებოდა.

უწმიდესი სტუდენტებს დავალებას აძლევდა - თავისუფალ თემებს - მათ შორის მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს აწერინებდა, მერე ერთად კითხულობდნენ და განიხილავდნენ.

გამორჩეული დრო იყო...

დღეს, ეს შეხვედრები უკვე ისტორიაა, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ცხოვრების განუმეორებელი ისტორია...

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, გავიხსენოთ წარსული... მართალია უახლესი, მაგრამ ყველასთვის სასიამოვნო და შთამბეჭდავი...

ამჟამად გთავაზობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის საუბრებიდან ორ ჩანაწერს:

28 აპრილი, 2004 წელი

„... ნუ იქნებით ნურც ლიბერალები და ნურც კონსერვატორები, იყავით ნამდვილი მართლმადიდებლები, ოქროს შუალედი მოძებნეთ. მთავარი ის კი არაა, ლიბერალი იქნები თუ კონსერვატორი, მთავარი შენი გულია, შენი ცხოვრებაა, შენი შინაგანი სამყაროა... ჩვენი მიზანი იყო და დარჩება ერთადერთი - ვიქადაგოთ ყველას წინაშე მართლმადიდებლობა.

ჩვენ დიალოგებში სწორედ ამ მიზნით ვმონაწილეობთ.

ძალიან რთული სიტუაციაა ქვეყანაში და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ხშირად იბეჭდება ანტიეკლესიური წერილები, რომელთა მიზანია გამოწვევა, კამათში ჩაბმა. ვერ იტანენ, რომ ეკლესიას ასეთი გავლენა აქვს. საქართველოს ეკლესია მათთვის არაფერია, ჩვენთვის კი - ყველაფერი. ესაა ის ძალა, რომელიც აერთიანებს, ადუღაბებს ქვეყანას, ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ - ეს ერთადერთი საფუძველიც რომ გამოგვაცალონ, საქართველო აღარ იქნება.

ადრე ხალხს აერთიანებდა მეფე, კულტურა, ეკლესია. ახლა მხოლოდ ეკლესია დარჩა. ჩემთვის არაერთხელ უთქვამთ, ეკლესიას დიდი გავლენა აქვსო. ეს არ არის ჩემი დამსახურება, ასე იყო ოდითგან, ეს ტრადიციაა, ეკლესია ყოვლთვის აერთიანებდა ერს...

იფიქრეთ და არა მარტო იფიქრეთ; საჭიროა სიმტკიცე. ლიბერალებს ჩამორჩენილები ვგონივართ, ფანატიკოსებს კი ლიბერალებად მივაჩნივართ. ასე რომ, ოქროს შუალედია მოსაძებნი, სამეუფო გზა, ნამდვილი, ჭეშმარიტი გზა...

28 ოქტომბერი, 2005 წელი

რა არის სილამაზე? როგორ გესმით იგი? რა თქვა დოსტოევსკიმ სილამაზის შესახებ? რატომ თქვა? იქნებ გამოთქვათ აზრი, როგორ გამოვლინდება სილამაზე ჩვენში ან ჩვენს გარშემო? თვითონ ადამიანი არის თუ არა ნიმუში სილამაზისა? ყოველ ადამიანშია ის თუ მხოლოდ რჩეულებშია?..

„სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“, - თქვა დოსტოევსკიმ. რატომ თქვა და რა არის, რას ნიშნავს ეს? ჩემი აზრით, სილამაზე - ეს არის ჰარმონია. მე ასე ვფიქრობ. თვითონ ადამიანი სილამაზეა, მაგრამ, ქართველი კაცი - მთვრალი, დავარდნილი გზაზე - ეს სილამაზეა? და ვინ დაარღვია ეს სილამაზე?

მშვენიერებაც სილამაზეში შედის. ერთი პროფესორი იყო - ნიკოლსკი. სასულიერო პირი გახლდათ და მოსკოვის ნოვოდევიჩის მონასტერში სწირავდა. მას ერთხელ ჰქონდა ასეთი ქადაგება: ადამიანი არის ტაძარი სულისა წმიდისა და მოიხედავ და ეს ტაძარი აგდია სადღაც ქუჩაში მთვრალიო. თქვენ როგორ ფიქრობთ: ეს სილამაზეა თუ არა? რა თქმა უნდა, სიმახინჯეა. იცით რატომ დამებადა ეს კითხვა? გუშინ მე ვიყავი მიწვეული ბადრი პატარკაციშვილის ერთ-ერთ სახლში, რომელიც არის ოქროყანისკენ. გამაოცა სილამაზემ, რაც მე იქ ვნახე: ჯერ ერთი - თვითონ ბუნების სილამაზემ (ბუნება თვითონ ლამაზია, რა თქმა უნდა; ჩვენ ვამახინჯებთ ხშირად): ძალიან ლამაზად დაყოფილი გზები, მოლი, შადრევნები, ყვავილები, ფანჩატურები;

სილამაზე ეს ძალიან რთული საკითხია: სილამაზე მუსიკაში, მხატვრობასა და, საერთოდ, ყველაფერში. მე ერთხელ ვთქვი, რომ ქართველმა ხალხმა ააშენა თავისი ავტოპორტრეტი წმინდა სამების ტაძრის სახით. ნამდვილად ასე ვფიქრობ და ნამდვილად ასე მგონია.

შინაგანად ძალიან ამაღლებული გრძნობა აქვს ქართველ ადამიანს. ამას მე ვხედავ განსაკუთრებით ხელოვნებაში, ოქრომჭედლობაში, მხატვრობაში, ყველაფერში, რაც ხელოვნებას შეეხება.

მეცნიერები ძალიან ხშირად მსჯელობენ იაპონიის განვითარების შესახებ. ისინი ამბობენ, რომ იაპონელს სილამაზის აღქმის განსაკუთრებული გრძნობა აქვს. აი, თუნდაც აიღეთ იაპონური ბაღები: საოცრებაა, ვისაც გინახავთ წიგნებში, რა თქმა უნდა, იაპონიაში შეიძლება ბევრი ვერ წავიდეს... ყველაფერი გათვალისწინებულია, რომელ კუთხეკუნჭულში რა უნდა იდოს: ქვა სად უნდა იყოს, ან ხრეში. საათობით შეიძლება, იჯდეს იაპონელი კაცი, უყურებდეს ერთ ქვას და ფიქრობდეს. ამ ქვას გადაჰყავს ის სულ სხვა სამყაროში. ესაა ფილოსოფიური ჩაღრმავება: როგორ იცვლება ეს ქვა. დავუშვათ, მზე ამოვიდა და ამ ქვას აქვს ერთი გამოსახულება. მერე გადადის მზე და იცვლის ფერსა და ფორმას ეს ქვა. ასევე იცვლება იაპონელის აზროვნება, მისი მსჯელობა და ძალიან საინტერესოა ეს თემა...

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
სალომე გოგინაშვილმა

სატაძრო ხუროთმოძღვრება სასულიერო აკადემიის სივრცეში

სატაძრო ხუროთმოძღვრებაში ქართული საეკლესიო არქიტექტურის უდიდესი ტრადიციები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან იქნა უგულებელყოფილი, როცა საქართველომ თავისი მომავლის ბედი რუსეთს დაუკავშირა. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში იყო წყვეტა საეკლესიო არქიტექტურის კუთხით.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაიწყო ქართული სატაძრო არქიტექტურის ხელახალი აღორძინება და ქართულ მართლმადიდებლურ კანონიკურ სისტემაში მოქცევა.

ამ პრობლემას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის მიერ შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრების საბჭო აგვარებს და არეგულირებს.

სატაძრო არქიტექტურის შემოქმედებითი სივრცის მაღალი პროფესიონალებით შევსებისათვის აუცილებელი გახდა შესაბამისი ახალი კადრების აღზრდა და მომზადება, რაც უნდა მომხდარიყო და კიდეც მოექცა აკადემიის სივრცეში.

რატომ უნდა მოექცეს და რას გულისხმობს სატაძრო არქიტექტურის ხუროთმოძღვრების აკადემიური სივრცე? როგორია იგი, რა პრაქტიკულ შედეგზე უნდა მოხდეს კონცენტრირება? რა სახის და შინაარსის უნდა იყოს საგანმანათლებლო სისტემაში ხუროთმოძღვრების კათედრა? რა უძღოდა ყოველივე ამის გაშინაარსიანებას და დარეგულირებას?

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამჟამინდელ პერიოდამდე საეკლესიო ხუროთმოძღვრება ხორცს ისხამს იმ პიროვნებებისა და ჯგუფების მიერ, რომელთაც ამ სამი ათეული წლის განმავლობაში არაერთი დაკვეთისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეითვისეს უნარები არქიტექტურის ამ უნიკალური და ურთულესი მიმართულების ჩამოყალიბებისათვის.

ეს არქიტექტურული ნაწარმოებები იქმნებოდა ჩვენი მოძღვრის, მეუფე დავითის - ამბა, ალავერდელისა და მამა ბესარიონის (მენაბდე), პროფესორ ქეთევან აბაშიძის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად.

ცალკეულ მოღვაწეთა ნააზრევის და რეკომენდაციების კანონიკურ სისტემაში მოქცევის აუცილებლობის წინაპირობას წარმოადგენს მისი შეტანა სისტემური განათლების სივრცეში. სისტემური გულისხმობს თავის თავში მთელი რიგი არქიტექტურული, მხატვრული და საინჟინრო დისციპლინების ერთ ჩარჩოში თავმოყრას.

ეს დისციპლინებია - ხატვა, არქიტექტურული გრაფიკა, გეოდეზია, მსახველობითი გეომეტრია, კონსტრუქციები, მსოფლიოსა და საქართველოს ხელოვნების ისტორია, რესტავრაცია, პროექტირება, ქალაქგეგმარება, სატაძრო არქიტექტურა...

აქედან ცხადია, არქიტექტურა არ არის მონოხელოვნება, ეს პოლიფუნქციურია და ეფუძვნება ყველა ცალკე არსებულ სახელოვნებო და საინჟინრო დარგებს.

სწორედ ამ პოლიფონიურობის სწავლებაა შესაძლებელი თბილისის სასულიერო აკადემიაში, მის სატაძრო ხუროთმოძღვრების კათედრაზე, რადგან არქიტექტორი და კერძოდ სატაძრო ხუროთმოძღვრების არქიტექტორი უნდა იყოს მრავალმხვრივ განვითარებული ადამიანი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს მრავალმხრივი სასულიერო განათლება და ლიტურგიკის სიღრმისეული ცოდნა, რაც იქნება მისი შემოქმედების საფუძველი-ბაზისი. ამ სახის განათლებას კი ახალგაზრდა მხოლოდ აქ, - სასულიერო აკადემიაში მიიღებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით, პროცენტულად ბევრია თვითშემოქმედების დონეზე შესრულებული პროექტები, რაც კრიტიკას ვერ უძლებს. ეს შედეგია სასულიერო განათლების საფუძველზე დაფუძნებული სატაძრო ხუროთმოძღვრების ცოდნის მქონე პროფესიონალების დეფიციტისა.

ზემოაღნუშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სატაძრო არქიტექტურის განვითარებისათვის აუცილებელია ამ ტიპის ხუროთმოძღვრული სკოლის არსებობა და, ვიმეორებ, მისი ადგილი, უდაოდ, არის მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო აკადემიის სივრცე.

ჩვენი სასულიერო აკადემიის არქიტექტურის კათედრა უნიკალურია თავისი არსით, მას აქვს ყველა კომპონენტი, რაც სტანდარტულია საერთაშორისო არქიტექტურული განათლების სისტემისათვის, მაგრამ, ამავდროულად, აქვს ერთი ნიშანი, რაც გამოყოფს, უნიკალურს ხდის მას სხვა არქიტექტურული სკოლებისაგან. ესაა სასულიერო განათლების ბაზისი, რაც სხვა სკოლებს არ გააჩნათ. ბევრს ჰგონია, რომ კანონიკა, მართლმადიდებლური კანონიკა, შემბოჭავია და არ აძლევს არქიტექტორს თავისუფალი შემოქმედების საშუალებას. ეს ასე რომ არ არის, თანამედროვე ახალგაზრდამ შეიძლება, შეიმეცნოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს კათედრაზე, რადგან სისტემური სწავლების საფუძველზე გაიცნობიერებს რა სასულიერო განათლების არსს, შეიმეცნებს, რომ საეკლესიო არქიტექტურის საფუძველი ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ლიტურგიკული მსახურებაა.

მედეა მელქაძე,

არქიტექტურის დოქტორი,
პროფესორი

30 weli patriarqis gverdiT....

არქიდიაკონ დემეტრე დავითაშვილს 1993 წელს დიაკვნად ხელი დაასხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მას შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურებაში მამა დემეტრე პატრიარქის გვერდითაა.

წინამდებარე ინტერვიუში ცხადდება წარმოჩენილი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრის გამგის, არქიდიაკონ დემეტრეს განვლილი გზა და მოღვაწეობა.



გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი პირველი შეხვედრა პატრიარქთან.

პირველი შეხვედრა, შეიძლება ითქვას, იყო სიმბოლური. ბავშვობაში ყოველთვის მესმოდა, რომ საქართველოს ახალი, განსაკუთრებული პატრიარქი ჰყავს. როდესაც დავიბადე, მაშინ მისი უწმიდესობა ეფრემი იყო პატრიარქი საქართველოსი, შემდეგ, მისი უწმიდესობა დავით V და ბავშვი ვიყავი, როდესაც უწმიდესი და უნეტარესი ილია II გახდა პატრიარქი. ჩემი უფროსი და სიონის მრევლის წევრი იყო და ყოველთვის საინტერესო ამბებს გვიყვებოდა: რა იქადაგა უწმიდესმა, რა თქვა. ამიტომაც ბავშვობიდან დიდი სურვილი მქონდა, დამენახა ან ახლოს გამეცნო ჩვენი პატრიარქი.

მოგვიანებით, 1986 წელს, როცა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დავბრუნდი, პირველი სურვილი რაც გამიჩნდა, იყო ჩავსულიყავი სიონის ტაძარში.

მახსოვს ჩემი დიდი გაოცება და განცვიფრება როდესაც მისი უწმიდესობა დავინახე, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ადამიანი, რომელიც გამართული იდგა შუა ტაძარში და ღვთისმსახურებას ასრულებდა. ამის შემდეგ მოვდიოდი ხოლმე სიონში. პატრიარქის სრულ მსახურებას პირველად 1987 წლის 24 დეკემბერს დავესწარი. ინტრონიზაციის 10 წლისთავი იყო, ვნახე ყველა მღვდელმთავარი, სინოდის ყველა წევრი. მაშინ მე არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ეს ადამიანები. ეს ყველაფერი საოცრად უცხო იყო ჩემთვის - განსაკუთრებული შესამოსელი, გალობა, წესი, რომელსაც არაერთი წელი მე თვითონ ვასრულებ, გადავწყვიტე, მუდამ მევლო ტაძარში, რა თქმა უნდა, იმ საღამოს ლოცვას, მეორე დღეს წირვასაც დავესწარი, და მოხდა რაღაც სასწაული - აღმოვჩნდი მისი უწმიდესობის ტრაპეზზე. მაშინ დიდი ტრაპეზები არ იმართებოდა. დღეს, ჩვენი სასულიერო აკადემიის გვერდით რომ შენობაა, ეგ იყო საპატრიარქოს ადმინისტრაციული კორპუსი. მაშინ უწმიდესი ცხოვრობდა სიონის ტაძრის ეზოში და ადმინისტრაციული კორპუსი, სადაც უწმიდესის ქორეპისკოპოსი ბრძანდებოდა, სამდივნო, საფინანსო, საბუღალტრო და სხვა განყოფილება იყო განთავსებული - იქ დერეფანში იყო გაშლილი სუფრა და აღმოვჩნდი მისი უწმიდესობის ტრაპეზზე. ესეც ერთი დიდი სიხარული იყო. მართალი რომ ვთქვა, არ ვაპირებდი სასულიერო პირობას, ყველა ვინც ბავშვობიდან მიცნობს, იცის, რომ მინდოდა მსახიობობა, ვაბარებდი კიდეც თეატრალურ ინსტიტუტში. მართალია, უკვე ინტენსიურად დავდიოდი ტაძარში, თუმცაღა სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელება არ მიფიქრია.

შემდეგ 9 აპრილის დიდმა ტრაგედიამ უფრო მეტად გააღვივა სარწმუნოებრივი აქტიურობა საზოგადოებაში და ხალხი სულ უფრო და უფრო მეტად დადიოდა ტაძარში, მეც მივიღე საბოლოო გადაწყვეტილება და შინაურების დაუკითხავად საბუთები თბილისში სასულიერო სემინარიაში შევიტანე. მაშინ თვითონ მისი უწმიდესობა ატარებდა გასაუბრებას საპატრიარქოს ახალ შენობაში, სადაც დღეს მდივან-რეფერენტი ზის, იმ ოთახში, და, სწორედ, მაშინ უშუალოდ შევხვდი. მაშინ რამდენიმე კითხვა დამისვა და ისეთი აჟიტირებული, გარკვეული სახის შოკში ვიყავი, უწმიდესის პირისპირ, რომ მახსოვს, ბავშვური პასუხები გავეცი.

სემინარიაში სწავლის პერიოდში უკვე სიონის ტაძრის მრევლის წევრი გავხდი და ყოველთვის ვესწრებოდი წირვას, ვიდექი ხოლმე უწმიდესთან ახლოს, ვცდილობდი, ზეთის ცხება მიმეღო თავად მისი ხელიდან.

ჩემი მოძღვარი მამა თეიმურაზ შავლაშვილი ქაშუეთის ტაძრის პირველ სართულზე წმიდა მარინეს სახელობის ტაძარში მსახურობდა, შემდეგ სიონში გადმოიყვანეს მღვდელმსახურად, ბოლოს იგი სიონში აღარ გამოჩენილა, გავარკვიე, რომ გადაეყვანათ დიდუბის დედა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში და ერთ მშვენიერ დღეს იქ მივაკითხე. მამა თეიმურაზი არ დამხვდა, კვირა დღე იყო, 10 საათზე წირვა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ფერხდებოდა, თურმე მედავითნე იგვიანებდა. მამა პეტრე ბარამიძე იყო მწირველი (ახლაც დიდუბის ეკლესიაშია), ამბიონზე გამოვიდა, მე ვიდექი სტოაში, და დამიძახა, მედავითნეობა თუ შეგიძლიაო. მედავითნეობა შემეძლო, რადგან სვეტიცხოველში და შემდეგ მეუფე ზოსიმესთან დროდადრო ვკითხულობდი ხოლმე, ვიცოდი ყოველთვის ჟამნის კითხვა, დიდუბეში სჭირდებოდათ რომ წამეკითხა III ჟამნი და მეც დავთანხმდი. წავიკითხე და მოეწონათ ჩემი კითხვის მანერა, ხმა და დამტოვეს თავისთან და აღარსად გამიშვეს. დავდექი პირდაპირ მედავითნედ და გავაგრძელე მსახურება. გავიდა რამდენიმე თვე, მოახლოვდა თამარ მეფის ხსენების დღე (ეს იყო 1991 წლის 14 მაისი), უწმიდესი შეიმოსა შუა ტაძარში და იქვე, ანალოგიასთან წავიკითხე მეექვსე ჟამნი, მოეწონა ჩემი ხმა, წირვის ბოლოს დამიძახა, გამომკითხა ვინ ვარ, რას ვაკეთებ, მაქვს თუ არა მუსიკალური სმენა და დამიბარა იმ საღამოს საპატრიარქოში; მოდი და შენი სმენა შევამოწმოთო. მივედი გასაუბრებაზე. ახლა უშუალოდ უწმიდესის პირისპირ ვიდექი, მკითხა, აპირებ თუ არა დაოჯახებასო. გადაწყვეტილი არ მაქვს მეთქი. კარგი ხმა და სმენა გაქვს და მოდი, მოიყვანე ცოლი და იქნებ გაკურთხოთ კიდეც და დიაკონი გახდებიო. ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრები ერის სულიერ მამასთან.

შემდგომ როგორ წარიმართა თქვენი ურთიერთობა?

დიდუბეში ვაგრძელებდი მედავითნეობას, ეტყობა, ყოველთვის თვალსაწიერში ვყავდი და ელოდებოდა როდის დავოჯახდებოდი, მაგრამ მე ცოლი არ მომყავდა.

1993 წელი იყო, ივლისში ერთი თვით გამიშვა წინამძღვარმა შვებულებაში. მოვბრუნდი 31 ივლისს, შაბათს. მეორე დღეს არის წმიდა სერაფიმ საროველის ნაწილების თაყვანისცემის დღე (სიონში დღესაც არის წმიდა სერაფიმ საროველის ხატი, რომელშიც ჩასვენებულია მისივე ნაწილი) ვთხოვე წინამძღვარს, თუ შეიძლება, ხვალ წირვაზე არ მოვალ, სიონში წავალ-მეთქი. ვფიქრობდი, წირვის შემდეგ (საკურთხეველში იყო ეს ხატი, უწმიდესის სავარძლის გვერდით ესვენა) მშვიდად შევალ საკურთხეველში, ვეამბორები ხატს, თაყვანს ვცემ წმიდა ნაწილებს და გამოვბრუნდები-მეთქი. წირვაზე ცოტა მოგვიანებით მივედი, დიდი კვერექსის დროს, მამა ამირან ამირანაშვილი იყო პროტოდიაკონი. ჩემთვის ვიდექი უწმიდეს კალისტრატეს საფლავთან, სვეტთან ახლოს და ანტიფონების გალობის შემდეგ, როდესაც მცირე შესვლა დამთავრდა, უწმიდესი შებრძანდა საკურთხეველში, 4 მიმართულებით ჯვარი დასახა და ერთ-ერთი დასახვის დროს დამინახა, დამაკვირდა, თვალი თვალში გამიყარა, მეუცნაურა, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს-მეთქი, წირვის ბოლოს „განიცადეზე“ ეზიარა და დაბრძანდა, ისვენებდა, ვიდრე ხალხი ზიარებას დაიწყებდა, მედავითნე, გიორგი კობაიძე (ამჟამად მღვდელი) გამოაგზავნა, უწმიდესი მიხმობდა. შევედი საკურთხეველში, არც მოულოცია დღესასწაული, მეორე დღეს ილიაობა იყო. მკითხა: რას შვრები, კიდევ არ აპირებ დაოჯახებასო. ვუთხარი, არა-მეთქი. თუ ხარ მზად გაკურთხოთო, ხვალ შედგება შენი კურთხევაო. და აი, მოულოდნელი სიხარული მეწვია... ასე ილიაობას მოხდა ჩემი ხელდასხმა დიაკვნად და, იქიდან მოყოლებული, უკვე 30-ე წელიწადია, მისი უწმიდესობის პირადი დიაკვანი ვარ და მაქვს პატივი, ყველა მისი მსახურების, ასე ვთქვათ, თანამწირველი ვიყო და თანაზიარი ვიყო იმ სიხარულისა, რომელსაც საერთოდ უწმიდესი თითოეულ ჩვენგანს ანიჭებს.

რას გვეტყვით პატრიარქის შემოქმედებაზე?

ეს ცალკე სასაუბროა. შეიძლება, დაუსრულებლად ვისაუბროთ იმდენად დიდია მისი შემოქმედებითი არეალი. ილია II განსაკუთრებული, მრავალფეროვანი პიროვნებაა. არის შესანიშნავი ორატორი, მწერალი, გამოცემულია მისი ეპისტოლეების, ქადაგებების მრავალტომეული. მე ბედნიერი ვარ, რომ ყოველ შობას და აღდგომას მიწევს მისი უწმიდესობის ეპისტოლეების კითხვა.

უწმიდესი არის შესანიშნავი მხატვარი. დღეს სამების ტაძარშია დასვენებული მისი სასწაულთმოქმედი ხატები - ყოვლადწმიდა სამებისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. არის სამაგალითო კომპოზიტორი, მისი განსაკუთრებული მუსიკის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც „კირიე ელეისონ“, რომელიც შეიქმნა საგალობლის „წმიდაო ღმერთო“ და სიმღერის - „დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო“ -ს შემდეგ.

მახსოვს, ერთხელ სამების ტაძარში რამდენიმე ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა წირვას, მაშინ „კირიე ელეისონ“ - უფალო შეგვიწყალე - პატრიარქს ახალი დაწერილი ჰქონდა, „განიცადეზე“ შესრულდა იგი და ერთ-ერთმა უცხოელმა ეპისკოპოსმა მკითხა: ეს რა მელოდია იყოო. მე ვუპასუხე, ეს იყო მისი უწმიდესობის დაწერილი „კირიე ელეისონი“, გაოცებულმა მითხრა; როდესაც ვუსმენდი, მე ამ ქვეყანაზე არ ვიყავი, გასული გახლდით ამ ქვეყნიდან და ანგელოზებთან ერთად ვიყავიო.

თქვენ რომ პატრიარქის გვერდით ბრძანდებით, რას მატებს იგი თქვენს ადამიანურ ბუნებას, როგორ გრძნობთ ამაღლებულობას?

სავსებით მაქვს ჩემი მდგომარეობა გაცნობიერებული, ვიცი, რომ უბრალო მსახურებაში არა ვარ. მამა იოაკიმემ (ასათიანი) იცოდა ხოლმე თქმა: შენ მეორე კაცი ხარ საქართველოშიო. მას ვუყვარდი და ამით ჩემს სიყვარულს გამოხატავდა. მე ერთი ვიცი, რომ ამ ჩემმა მდგომარეობამ არ უნდა გამაამპარტავნოს და არანაირად არ უნდა ვიფიქრო, რომ სხვაზე აღმატებული ვარ.

ადამიანური ბუნება ისეთია, რომ ყველაფერს ეჩვევა და ეგუება. ჩემთვის მის უწმიდესობასთან მსახურება ყველაფერზე ზემოთ, სიხარულზე, ურთიერთობაზეც ზემოთ დგას. მე ვიცი, რომ უნდა ვიყო მაგალითი სხვებისთვის, თავდადებული ღვთის წინაშე, მისი უწმიდესობის წინაშე, ეს განსაკუთრებული მოვალეობაა, განსაკუთრებული ჯვარია.

ერთხელ ერთმა სასულიერ პირმა შეჰბედა უწმიდესს: მინდა რაღაცნაირად ეს მძიმე ჯვარი შეგიმსუბუქოთო. უწმიდესმა გაიღიმა და უპასუხა: ნურავინ ნუ დაგვიმძიმებთ და შემსუბუქებას ნუ ეცდებითო, ეცადეთ, საკუთარი ჯვარი ატაროთ ღირსებითო. მეც ამას ვცდილობ.

როდესაც მეკითხებიან, თუ რას მსურს მივაღწიო ცხოვრებაში, მათაც და თქვენი გაზეთის მკითხველებს, ჩვენს სტუდენტებს და კოლეგებს გავაცნობ ჩემს სურვილს: მინდა ჩემთვის ძვირფას ადამიანს - უწმიდესს მივემსგავსო რამდენიმე თვისებაში. მას შეუძლია დაუზარებელი ლოცვა, მინდა ვგავდე ამაში; დაუსრულებლად შეუძლია შეუნდოს და აპატიოს მათ, ვინც გული დასწყვიტა. მინდა, ამაშიც მას ვგავდე. ღმერთმა მომცეს ისეთი გამძლეობა, ყველაფრიდან - ლოცვიდან და მსახურებიდან გამომდინარე, როგორი გამძლეობაც უწმიდესს აქვს.

ესაუბრა

გივი შეყილაძე

საღვთისმეტყველო წერილები

ღვთის არსებობის მტკიცებულება სამყაროში არსებული წესრიგის მიხედვით

არსებობს ღვთის შემეცნების ორი ძირითადი წყარო – საღვთო გამოცხადება და ქმნილება, ანუ ხილული სამყარო. პირველი წყარო ჩვენი დატევნისაებრ გვიცხადებს ღვთის სრულყოფილებასა და თვისებებს, ღვთის განგებულებას კაცობრიობის ხსნის საქმეში.

წმინდა წერილში არსად არ ხდება მტკიცება ღმერთის არსებობისა, რადგან ეს წიგნი, პირველ ყოვლისა, მორწმუნე ადამიანებისთვის არსებობს. ღვთის არსებობის ჭეშმარიტება ისეთივე უტყუარია მორწმუნე ადამიანისთვის, როგორიც მისი საკუთარი სიცოცხლე. ღვთისმსგავსი ადამიანი სულით გრძნობს ღმერთთან სიახლოვეს და მისკენ ისწრაფვის: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“ (ფს. 41.2). ასეთი წყურვილი ღმერთისგანაა, ხოლო ვინც ღმერთის არსებობას უარყოფს, მას წმინდა წერილი უგუნურს უწოდებს (ფს. 13.2).

ღმერთის შემეცნების მთავარი პირობა სახარებისეულ ცხოვრებაში, გულის სიწმინდესა და მაღალ სულიერებაშია. მარადიული ჭეშმარიტება – ქრისტე ღმერთი ბრძანებს: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მთ. 5.8). ვისაც ღმერთის შემეცნება სურს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიჯეროს მისი არსებობა, „რამეთუ სარწმუნოება უღირს რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ ექმნების“ (ებრ. 11.6). პირველი ნაბიჯი ღმერთის შემეცნების გზაზე - ესაა რწმენით მიღება მისი არსებობისა და, ვინც ამას ამგვარად იღებს, უფალი მას ღვთის შემეცნების შემდგომ სიღრმეებს აზიარებს (რა თქმა უნდა, ადამიანის ღვთისსათნო ცხოვრების შემთხვევაში).

ღვთის შემეცნების საკითხში რწმენა წინ უძღვის ინტელექტს, რადგან „სარწმუნოებით გვიცნობიეს“ (ებრ. 11.3), ის, რაც აზროვნების უნარისთვის მიუწვდომელია. რწმენასა და ინტელექტს შორის არ არის წინააღმდეგობა. აზროვნების უნარი აქ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, იგი რწმენის ჭეშმარიტებას წარმოგვიდგენს ჩვენთვის გასაგები ფორმით. წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი ბრძანებს: „ყველას არ ძალუძს ღმერთის შესახებ მჭევრმეტყველება, რადგან ეს შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ღვთის ჭვრეტით დაკავებულია და წმიდად ცხოვრობს, ან ისწრაფვის სულისა და ხორცის განწმედისკენ“.

ღვთის შემეცნების მეორე წყარო - მისი ქმნილება – ამოწმებს ღმერთის ყოვლადსიბრძნისა და დიდების შესახებ. ადამიანი განცვიფრებულია სამყაროს მშვენიერებით, სირთულითა და მრავალფეროვნებით.

რა დიდებულია ოკეანეები, მთები, ტყეები, ველები! შეუძლებელია ზეცის სილურჯის სილამაზის გადმოცემა. განუმეორებელი ხიბლი აქვს ყოველი დღის დაბადებასა და დასასრულს.

წელიწადის სხვადასხვა დროს ბუნება თავისებურად ლამაზია: იგი გაზაფხულზე იღვიძებს და აყვავილდება, ზაფხულში შესანიშნავი ყვავილებით მოქარგული მწვანე სამოსით იმოსება, ხოლო შემოდგომისას ყვითელი, ნარინჯისფერი, მოოქროსფრო-მეწამული ფერები ჭარბობს. ალბათ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ზამთარში ნაკლებად მიმზიდველი იქნებოდა ბუნება, მაგრამ ეს ასე არ არის - გინდა, რომ უცქირო თოვლის ბარდნას, ფიფქების ცვენას, უწმინდეს ნამქერს და თითქოსდა თეთრი მაქმანებით მოქარგულ დათოვლილ ხეებს.

არ შეიძლება უყურებდე სულიერი თრთოლვის გარეშე სიცოცხლის უდიდეს სასწაულს, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროში რომ ვლინდება. ყოველ მცენარეს თავისი საკვირველი საიდუმლოებანი, აგებულებისა და სიცოცხლის თავისებურებანი აქვს. მაგალითად: ვერხვის ხის სულ მცირე თესლში კონცენტრირებულია უხილავი ენერგია, გიგანტური ხის გაზრდის შემძლებელი. ყოველ თესლში ჩადებულია რთული პროგრამა. მასში ჩვენთვის უცნობი კოდით დაშიფრულია მომავალი მცენარის ღერო, გვირგვინები, ფოთლების ფორმა და ზომა, ყვავილთა არომატი, ნაყოფის გემო, თვითგანვითარების მექანიზმი და ყველა სხვა თვისება. ყოველი მწვანე ფოთოლი - ურთულესი ფაბრიკაა, რომელიც არაორგანული ნივთიერებებიდან (ნახშირორჟანგი, წყალი) ორგანულ ნივთიერებებს აწარმოებს და ჟანგბადს გამოიმუშავებს. თავისი ტექნოლოგიით მწვანე „ფაბრიკები“ ბევრად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ნებისმიერი ქიმიური ქარხანა. ყოველი მცენარე – ცოცხალი ტუმბოა, რომელიც დედამიწის მიზიდულობას სძლევს და წყალი მაღლა ამოაქვს თავისი ტანით ან ღეროთი კვირტებთან, ფოთლებთან, ყვავილებთან და ნაყოფებთან.

ხშირად სხვადასხვა ყვავილი ერთად იზრდება, ერთი მიწიდან იკვებება, მაგრამ თითოეული თავისი განუმეორებელი ფერისა და არომატის მქონეა.

ბევრად უფრო საკვირველია ცხოველთა სამყარო, რომლის წარმომადგენლებსაც თუნდაც მხოლოდ გვერდიდან ვუმზერდეთ, აღტაცებაში მოვყავართ მათი ტანის მოხდენილ ფორმებსა და ფერთა უმდიდრეს მონაცვლეობას. პეპლის ფრთა ისე დიდებულად არის შეფერილი, რომ ვერცერთი მხატვარი ვერ შეძლებს მის ამგვარად დახატვას. მრავალ ფრინველს ულამაზესი ფერის ფრთები აქვს, ბევრი კი შესანიშნავად მღერის – არასოდეს მოგწყინდება ბულბულის სტვენის, შაშვის გალობის, კოდალას კაკუნის მოსმენა.

მრავალ ცხოველს შეუძლია მათთვის აუცილებელი სამკურნალო მცენარის მოძებნა. არიან ცხოველები, რომლებიც წინასწარ ცნობენ ამინდს. მაგალითად, ჭიანჭველები წვიმის წინ შესასვლელებს გმანავენ თავიანთ სამყოფელში. თუ არ არის მკაცრი ზამთარი მოსალოდნელი, ეს მწერები ნიადაგის ზედაპირთან ახლოს რჩებიან, ხოლო ცივი ზამთრის დადგომამდე უფრო ღრმად ჩადიან მიწაში. დელფინები შტორმის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე იგებენ მოსალოდნელი სტიქიის შესახებ და კლდეების უკან მიცურავენ.

არ შეიძლება არ გაგვაოცოს ობობას მიერ მოქსოვილი ქსელის გასაოცარმა სიმტკიცემ და სინატიფემ. ფუტკრები საოცრად გონივრულად აკეთებენ ფიჭას – წყვეტენ პრაქტიკულად რთულ საინჟინრო ამოცანას. თითოეულ უჯრედს ისეთი მოცულობა აქვს, რომ მათში თაფლის მაქსიმალური რაოდენობა ეტევა, სამშენებლო მასალის მინიმალურად ხარჯვის შესაბამისად.

საინტერესოა ჭიანჭველების ცხოვრება. ისინი შრომას ანაწილებენ, აქვთ ცხოვრების ზუსტი განრიგი. თავიანთ სამყოფელში ეს მწერები უმკაცრეს სანიტარიას იცავენ. მკვდარი ჭიანჭველები გამოაქვთ ჭიანჭველათა საგანგებო სასაფლაოზე. მათ ყოველ ბუდეს აქვს საკუთარი ტერიტორია ნადირობისთვის.

ღამურა ექოლოკაციის სისტემითაა აღჭურვილი (ადამიანმა ექოლოკატორი მხოლოდ მე-20 საუკუნეში გამოიგონა). ულტრაბგერით რხევებს, რომლებსაც იგი სიბნელეში აგზავნის, საგნებიდან არეკლილს უკან იღებს ისე, რომ არაფერს არ ეჯახება და უცდომელად პოულობს თავის ნადავლს.

აქლემი ძალზე თავისებური ცხოველია, მხურვალე უდაბნოში ბინადრობს და ხშირი, სქელი ბეწვით აქვს ტანი დაფარული, რომელიც ტენის აორთქლებას უშლის ხელს და ორგანიზმს გადახურებისაგან იცავს. აქლემი წყლის საოცარ ეკონომიას აკეთებს. აუტანელ სიცხეშიც კი პირს არ აღებს, რომ პირის ლორწოვანი გარსიდან წყალი არ აუორთქლდეს. მას შენელებული სუნთქვა აქვს, ცხელ დღეებშიც კი მხოლოდ 16-ჯერ შეისუნთქავს, რაც სხვა ცხოველებთან შედარებით ბევრად უფრო მცირე მაჩვენებელია. ამით მისი ორგანიზმი ნაკლებ წყალს კარგავს. მას შეუძლია თითქმის ნახევარი თვის განმავლობაში არ დალიოს წყალი. ცხიმების მარაგი კუზში ბევრ წყალს შეიცავს.

მორწმუნე ადამიანი სამყაროში ყველგან საღვთო სიბრძნის გამოვლინებას ხედავს. მას სწამს, რომ ეს ყველაფერი შექმნილია ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ, რომელიც გამუდმებით ზრუნავს თავის ქმნილებაზე.

ვსაუბრობთ რა ცოცხალი ორგანიზმების დიდებულებაზე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ისინი უმცირესი უჯრედებისგან შედგებიან. ყოველი უჯრედი – ურთულესი სისტემაა. ის გარემოცულია მემბრანით. უჯრედის შიგთავსი ამოვსებულია სითხით, ციტოპლაზმით. უჯრედის ბირთვი შეიცავს სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ ორგანელებს: უჯრედის ბირთვი ქრომოსომების ადგილსამყოფელია; მიტოქონდრია და ქლოროპლასტები უჯრედის „ელექტროსადგურებია“; ენდოპლაზმური ბადე სინთეზირებულ ნივთიერებათა სატრანსპორტო სისტემას წარმოადგენს; რობოსომები ცილების სინთეზის დანადგარებია; ვაკუოლები უჯრედის საწყობებია. მათში ინახება საკვები, წყალი, ნარჩენები.

ყველა უჯრედში არის მემკვიდრეობითი ინფორმაციის მატარებელი მოლეკულა, დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ), უჯრედი შეიცავს აგრეთვე რიბოქსინუკლეინის მჟავებს (რნმ), რომლებიც ფერმენტებისა და სხვა ცილების სინთეზს უზრუნველყოფენ.

ცოცხალი ორგანიზმები და არაცოცხალი ბუნების ყველა სხეული შედგება ნაწილაკებისაგან, რომლებიც ათასჯერ მცირენი

► მეთერთმეტე გვერდზე

▶ მეათე გვერდიდან

არიან ცოცხალ უჯრედებზე. ამ ნაწილაკებს მოლეკულები ეწოდებათ. მოლეკულები ატომებისგან შედგება. ატომებს თავის მხრივ საოცრად რთული აგებულება აქვთ და ამ მრავალფეროვნებას დასასრული არ უჩანს.

ხოლო როგორი მშვენიერი, იდუმალი და საინტერესოა კოსმოსი - პლანეტების, ვარსკვლავების, გალაქტიკების სამყარო!...

არანაკლებ საკვირველია წყალქვეშა სამყარო. თევზების საცურაო ბუშტი არის ის აპარატი, რომლის დახმარებითაც ისინი არეგულირებენ წყალში თავიანთი ჩაძირვის სიღრმეს. თევზი ცვლის რა მკერდისა და მუცლის კუნთების დახმარებით ბუშტის მოცულობას, ამით ის ცვლის თავის საშუალო სიმკვრივეს, რაზეც დამოკიდებულია მისი ჩაძირვის სიღრმე.

ადამიანები ტკბებიან სამყაროს დიდებულებით, მაგრამ როგორი საკვირველია, იდუმალი, საინტერესო და დიდებულია თავად ადამიანი!

განა უსაკვირველესი არ არის, რომ ადამიანი წარმოიქმნება ერთი უჯრედიდან, რომლის მოცულობა 15 კუბურ მიკრონზე ოდნავ მეტია? შესაძლებელი რომ იყოს ყველა იმ უჯრედის ერთად დაწყობა, რომლებისგანაც ამჟამად დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ადამიანი წარმოიქმნა, ისინი დაიკავებენ ერთ კუბურ სანტიმეტრზე ნაკლებ მოცულობას. ადამიანის უკვე ჩასახულ უჯრედში ჩაპროგრამირებულია მისი სიმაღლე, აგებულება, თავი, ხელები, ფეხები, თვალები, ყურები, გული, ფილტვები, ღვიძლი, კუჭი, ნაწლავები, თმის და თვალის ფერი, ცხვირის ფორმა, სახის ნაკვთები...

ძალიან რთული აგებულებისაა ადამიანში ნერვული, გულსისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, სუნთქვითი, გამრავლებისა და სხვა სისტემები. იგივე შეიძლება ითქვას შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე...

ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ამოწმებენ ადამიანის სხეულის უსაკვირველესი აგებულების შესახებ.

ადამიანის თავის ტვინი შედგება 10-14 მილიარდი ნეირონისგან (ასე ეწოდებათ ნერვული სისტემის ცალკეულ უჯრედებს). ზურგის ტვინში ისინი 13 მილიონია. მოზრდილი ადამიანის სხეულში 160 მილიარდი კაპილარია, რომელთა საერთო სიგრძეა 100 000 კილომეტრი. ერთი კაპილარის სიგრძე 0,5 მმ-ზე ნაკლებია, ხოლო დიამეტრი ადამიანის თმის ღეროს დიამეტრზე 50-ჯერ ნაკლებია. ჩვენი სისხლის ყოველ კუბურ მილიმეტრში 5 მილიონი ერითროციტია, რომლებიც ფილტვებიდან ჟანგბადს აწვდიან ქსოვილებს და უკან მოაქვთ ნახშირორჟანგი. ერთ ერითროციტში დაახლოებით 280 მილიონი ჰემოგლობინის მოლეკულაა. თითოეული შედგება დაახლოებით 10 000 წყალბადის, ნახშირბადის, აზოტის, ჟანგბადის, გოგირდისა და 4 რკინის ატომისაგან. სისხლის წითელი ფერი განპირობებულია რკინის ატომებით. ადამიანის სისხლის ყოველი კუბური მილიმეტრი შეიცავს 5-დან 10 ათასამდე ლეიკოციტს. ცნობილია ასევე, რომ სმენის ნერვი შედგება 40 ათასი ბოჭკოსაგან. ასეთივე რთული აგებულებისაა თვალის ბადურა...

ადამიანები უფრო და უფრო მეტს იგებენ თავისი აგებულების შესახებ და, ალბათ, ვერასდროს ვერ ამოწურავენ ძიების ამ პროცესს. ადამიანის სხეული განსაცვიფრებლად რთულია, მაგრამ ეს მხოლოდ მისი გარსია. უმაღლესი ღირებულება კი მის შინაგან სამყაროშია: სინდისი, გონება, მეტყველება, მეხსიერება, წარმოსახვა, ემოციები – ეს ის უნარებია, რომლებიც ადამიანს პიროვნებად წარმოაჩენს. ადამიანი, როგორც პიროვნება, განუზომლად მაღლა დგას თავის სხეულებრივ აგებულებასთან შედარებით.

P.S ამ სახელწოდების მქონე ბროშურის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ალექსი II-ის ლოცვაკურთხევით

მოამზადა

დეკანოზმა

იოანე ბარკალიამ

ღვთისმშობლის პირველსახეები ძველ აღთქმაში

საეკლესიო ტრადიცია ყოველთვის აღიარებდა წმინდა წერილის მთლიანობას და აღნიშნავდა, რომ ახალი აღთქმა „დაფარულად“, სახე-სიმბოლოებით მყოფობს ძველ აღთქმაში. ეს დებულება, რასაკვირველია, ღვთისმშობლის შესახებაც ითქმის. წმინდა ანდრია კრეტელის თქმით, წმინდა მარიამის თაობაზე ძველ აღთქმაში მრავალი მითითება გვხვდება. მათგან პირველი, წმინდა მამების განმარტებით, საღვთო ბჭობაშია გამოთქმული. წმინდა დავით წინასწარმეტყველისადმი უფლის მიერ ნათქვამი სიტყვების - „ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა ზედა“ განმარტებისას წმინდა იოანე დამასკელი აღნიშნავს: „დავითის ტომიდან აღმოცენდა ქალწული მარიამი, როგორც გადაწყდა მარადიულ საღვთო ბჭობისას და ნაწინასწარმეტყველები იყო წინასწარმეტყველთა მიერ“ (გარდამოცემა, 4, 14).

წმინდა მამები ღვთისმშობელს ხშირად „სამოთხედ“ სახელდებენ და სხვადასხვა ეპითეტს მიმართავენ: „სიტყვიერი სამოთხე“ (გრიგოლ საკვირველთმოქმედი), „გონიერი სამოთხე“ (ანდრია კრეტელი), „სამოთხე, რომელიც ედემზე უნეტარესია“ (იოანე დამასკელი). პატრისტიკული ტრადიცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს წმინდა მარიამისა და ევას შედარებაზე. პირველი, ვინც ამ შედარებისა და ადამიანთა მოდგმის ხსნის განგებულებაში მათი როლის შესახებ საუბრობს - წმინდა იუსტინე მარტვილია. მის გზას განაგრძობს წმინდა ირინეოს ლიონელიც. „ორი ქალწულის“ შედარება მათი წარმოშობის შედარების განხილვით იწყება. წმინდა კირილე იერუსალიმელი იუდეველებთან კამათისას ამბობს: „წერილი მოგვითხრობს, რომ ევა წარმოიშვა ადამის ნეკნისგან (დაბ. 2.21), და თუკი იგი უდედოდ დაიბადა, რატომ არ შეიძლება, რომ ყრმა დაიბადოს ქალწულისაგან მამაკაცის გარეშე?“ შემდეგ შედარებულია ორი ევას მდგომარეობა: ერთისა - ეშმაკისაგან ცდუნების დროს, მეორისა - ხარების მომენტში. პირველი ევა სამოთხისეულ უმწიკვლო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მისი ბუნება ჯერ კიდევ არ იყო ცოდვით შებღალული, ხოლო „ახალი ევა“, ანუ ყოვლადწმინდა მარიამი, ხარების დროს დაცემულ კაცობრიობას წარმოადგენდა, ხრწნადსა და მოკვდავს. მისი განსაკუთრებული რჩეულობა არ იყო პირველცოდვის აცილების გარანტი. როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, პირველმა ევამ სცოდა, რის გამოც სიკვდილი შემოვიდა სოფლად, ხოლო „მეორე ევამ“, მარიამმა,როგორც ღვთის ნების მორჩილმა, მოატყუა გველი, ჩვენი მაცდუნებელი და ამ სოფლად უხრწნელება შემოიტანა.

ღვთისმშობლის ძველაღთქმისეულ სახედ მიჩნეულია ნოეს კიდობანი, ხოლო თავად ნოე - ქრისტეს (ახალი ნოეს) პირველსახედ, რომელმაც სამყარო ცოდვის წარღვნისაგან იხსნა. ზოგიერთი განმმარტებელი წმინდა წერილისა ქალწულისაგან ქრისტეს შობას სარასაგან ისააკის შობას უკავშირებს, ხოლო თავად ქალწულ მარიამის სახეს - იაკობის კიბეს, როგორც ზეცისა და მიწის დამაკავშირებელს.

ღვთისმშობლის ძველაღთქმისეულ პროტოტიპად წმინდა მამები ძალიან ხშირად მიიჩნევენ მოსეს მიერ ხილულ შეუწველ მაყვალს, როგორც პირველსახეს ერთდროულად დედობისა და ქალწულებისა (გამ. 3.2). გარდა ამისა, ღვთისმშობლის პირველსახედ ითვლება წინასწარმეტყველ ეზეკიელის ხილვაში აღწერილი ტაძრის კარიბჭე, რომელიც „ჩაკეტილი იქნება, არ გაიღება, კაციშვილი ვერ შევა იქ, რადგან უფალი, ისრაელის ღმერთი შედის იქ, ამიტომაც დაკეტილ იქნება“ (ეზეკ. 44.1-2).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაცხოვრის ამქვეყნად მოსვლის შესახებ პირველი აღთქმა (დაბ. 3.15) არსებითად პირველი წინასწარმეტყველებაც იყო ღვთისმშობელზე. წერილის ამ მუხლში საუბარია „დედაკაცის თესლის“ შესახებ. რამდენადაც სიტყვა „თესლი“ ბიბლიურ ტრადიციაში შთამომავლობის აღმნიშვნელად იხმარება, თანაც, მხოლოდ მამაკაცური ხაზით, გამოთქმა „დედაკაცის თესლი“ ზოგჯერ გაუგებრობას იწვევდა. წმინდა მიტროპოლიტი ფილარეტი (დროზდოვი) ამის თაობაზე შემდეგ განმარტებას გვაძლევს: „ჩვენი მაცხოვნებელი ხარება ძე ღვთისას განკაცებისა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ნაზარეთში არ დაწყებულა, არამედ თვით ღმერთის მიერ სამოთხეში, ვინაიდან იქ გაცხადდა საღვთო განგებულება დედაკაცის ძლევამოსილი თესლის შესახებ, ანუ ქრისტე მაცხოვრის ქალწულისაგან შობის შესახებ.

პირდაპირი უწყება იმის თაობაზე, რომ ქალწული და არა ქალი შობდა ძეს, რომელსაც უწოდებენ „ემანუელს“ (ებრ. „ჩვენთან არს ღმერთი“), წინასწარმეტყველ ესაიას წიგნში გვხვდება (ეს. 7.14) და ეს ყოველივე უჩვეულო სიცხადითაა გადმოცემული ისევე, როგორც დავითის ფსალმუნში: „ისმინე, ასულო, და იხილე და მოყავ ყური შენი“ (ფს. 44.11), თუმცაღა თავად ქალწული მარიამი - როგორც წმინდა ანდრია კრეტელი იტყვის - უცხადესი აღსრულებაა ყოველგვარი წინასწარმეტყველებისა და საღვთო აღთქმისა.

ზურაბ ეკალაძე

შეხვედრა პოეტ ტარიელ ხარხელაურთან

2022-23 წლების გზაგასაყარზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში როდესაც სტუდენტებთან ერთად შესაბამისი ღონისძიებათა ნუსხა დგებოდა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრისას სემინარიის II კურსის სტუდენტმა გიორგი კარიჭაშვილმა პოეტ ტარიელ ხარხელაურთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. სტუდენტებმა ერთხმად აიტაცეს გიორგის ეს წადილი და სთხოვეს საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლებს ამ შეხვედრის ორგანიზება.

ბატონი ტარიელის მეუღლეს, ქალბატონ მარინა ხარხელაურს დავუკავშირდით და დავთქვით შეხვედრის თარიღი.

ბატონი ტარიელი ღიმილით დაგვხვდა და გზად სასულიერო აკადემიამდე გვითხრა, რომ მისთვის პატივია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრტიარქისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, ხოლო სასულიერო აკადემია და სემინარია ის აუდიტორიაა, სადაც პოეტი უსათუოდ უნდა შეხვდეს ახალგაზრდებს.

ჩვენ შეხვედრის დეტალებზე წინასწარ შეგნებულად არ გვიფიქრია, დავხვდით სადად, გულღიად, უბრალოდ, ისე, როგორიც თავად ბატონი ტარიელია. მასთან შესახვედრად მოვიდნენ პედაგოგები, სასულიერო პირები და სტუდენტები. პოეტი კითხულობდა ლექსებს და აუდიტორიას სახეზე ეწერა საპასუხო სათქმელი, საპასუხო გრძნობა. სტუმარი გულწრფელად პასუხობდა დამსწრეთა შეკითხვებს, კითხულობდა ლექსებს აუდიტორიის თხოვნითაც. საოცარი გარემო იყო. სტუდენტებმა მიიღეს პასუხი ყველა კითხვაზე, მოისმინეს ყველა სასურველი ლექსი, რამდენიც შეხვედრის დროის ფარგლებში შეიძლებოდა.

ბატონმა ტარიელმა გულითადად მიულოცა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს საიუბილეო თარიღები, კიდევ ერთხელ აღნიშნა მისი განუმეორებელი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე და გაიხსენა უწმინდესისა და უნეტარესის განსაკუთრებული თანადგომა მისი ცხოვრების მძიმე პერიოდში. პოეტმა უწმინდესსა და უნეტარესს საიუბილეო თარიღები მიულოცა მისადმი მიძღვნილი ლექსით - „ბრძანე, მოძღვარო“!

შეხვედრის დასასრულს სასწავლებლის გალობის ლექტორმა ლაშა ზაალიშვილმა წამოიწყო სიმღერა „ბინდისფერია სოფელი“. მას სახელდახელოდ აჰყვა ყველა, ვისაც სიმღერა შეეძლო - სტუდენტიცა და პედაგოგიც.

სულ ბოლოს ტარიელ ხარხელაურს ვთხოვეთ, წაეკითხა დედისადმი მიძღვნილი ლექსი „ჩემო დედილო“. პოეტმა ლექსი ფეხზე მდგომ აუდიტორიას წაუკითხა და აცრემლებულ მსმენელს დაემშვიდობა. ვიღებდით ფოტოებს, კიბეზე ჩასვლის დროსაც კი ვესაუბრებოდით, კიდევ კითხვებს ვაძლევდით. გაღიმებული და შუბლგახსნილი პოეტი კი გვეფერებოდა მანამ, სანამ რთული დღის გრაფიკი საშუალებას აძლევდა.

გზად სახლისკენ პოეტს შეხვედრის შთაბეჭდილება ვკითხეთ. უზომოდ კმაყოფილი იყო იმ უშუალობით, უბრალოებით. „მოვედი იქ, სადაც უნდა მოვსულიყავი, სულიერების ძიება, რასაც თქვენი სასწავლებელი ემსახურება, ჩემთვის ყველაზე ახლობელია, კიდევ დიდხანს დავრჩებოდი თქვენთან, საღამოს პრეზიდენტთან რომ არ ვიყო წვეულიო“, - გვითხრა დამშვიდობებისას.

იმავე საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ტარიელ ხარხელაური ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა!

დიდო პოეტო! გილოცავთ ამ დიდ ჯილდოს, მაგრამ ყველაზე მეტად მკითხველის იმ ჯილდოს გილოცავთ, ხან გულზე ამბორად, ხან უცაბედად ამოხეთქილ სიმღერად და ხან ცრემლად რომ იქცევა ხოლმე. სავსენი ვართ პოეზიით, გულწრფელობით, თავმდაბლობით. სჭირდებით მამულს და სჭირდებით თანამემამულეებს! კიდევ დიდხანს არ მოგვიშალოს თქვენი ლექსი მამაზეციერმა!

ეკატერინე ფავლენიშვილი,
ისტორიის დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი

შეხვედრის შემდეგ პოეტისადმი თავისი დამოკიდებულება რამდენიმე მონაწილემ გაგვანდო:

კარგი ლექსი ბევრია, მაგრამ ამ ბევრიდან ბევრს წვალების, სიტყვასთან ჭიდილის, ხელოვნურობის კვალი ატყვია. ტარიელ ხარხელაური თვითნაბადი პოეტია, ალმასი, რომელსაც დამუშავება არ სჭირდება.

გრიგოლ ხაჭაპურიძე,
ახალი აღთქმის ლექტორი

ბატონი ტარიელის მოსმენა ყოველთვის და ყველგან ბევრის მომცემია, მაგრამ ჩვენს სასწავლებელში მისი სტუმრობა რაღაც სხვანაირი უბრალოებისა და უშუალობის ელფერს ატარებდა. იმდენად დიდი იყო მისი პოეზიით მოტანილი განცდა, რომ არ მემღერა, არ შემეძლო. ეს რომ წინასწარ დამეგეგმა, ბიჭებს შევუთანხმდებოდი, მაგრამ ემოციის უცაბედი ამოხეთქვა იყო. უცებ დავიწყეთ სიმღერა, ასე თანდათან შემომიერთდნენ სხვებიც და ბოლოს ვმღეროდით ყველა - სტუდენტი თუ პედაგოგი,ვისაც სიმღერა შეეძლო. მართლაც დაუვიწყარი დღე იყო. ბატონმა ტარიელმა გვაჩუქა პოეზია, გვაზიარა თავისი ცხოვრების გამოცდილებას, და, რაც ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის, თავმდაბლობა და უბრალოება.

ლაშა ზაალიშვილი,
გალობის ლექტორი, სამუსიკო ხელოვნებისა და თეოლოგიის მაგისტრი,

ურთულესია იმ ემოციების გადმოცემა, რომელიც ჩემში გამოიწვია ისეთ გენიალურ ადამიანთან შეხვედრამ, როგორიც ბატონი ტარიელია.

ეს იყო დადებითი ემოციებით დატვირთული და დამახასიათებელი დღე.

წარმოუდგენელია, თვალს ადევნებდე მის შემოქმედებას, ისმენდე მის მონამღერს, სიტყვათა ურთიერთფერებას და არ აჰყვე შეხმატკბილებულ რითმათა წყობასა.

კითხულობ, ისმენ და შენდაუნებურად ეხვევი სიყვარულის, პატრიოტიზმის, არაამქვეყნიურსა და ზეამაღლებული გრძნობების მორევში.

გიორგი კარიჭაშვილი
სემინარიის მეორე კურსის სტუდენტი

პოეტის საუბარი გაჯერებული იყო სიბრძნით. მისი უბრალო ცხოვრება პირდაპირ ისახება მის შემოქმედებაზე, უფრო შინაგანად ნაგრძნობს და ბუნებრივს ხდის მას. ტარიელ ხარხელაურს და ვაჟაფშაველას ბევრი რამ აქვთ საერთო.

გიორგი დონდუაშვილი
სემინარიის პირველი კურსის სტუდენტი

ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს, რომ სტუდენტებს მოგვცა საშუალება, მონაწილეობა მიგვეღო პატრიარქის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია ბატონ ტარიელ ხალხელაურთან შეხვედრამ. მისმა გულწრფელმა სიყვარულმა, უბრალოებამ და მამა შვილურმა დამოკიდებულებამ სტუდენტების მიმართ ეს შეხვედრა კიდევ უფრო ფასდაუდებელი გახადა. ბატონი ტარიელის ლექსების მეშვეობით ვეზიარებით მის ტკივილს, დაუცხრომელ სიყვარულს ჩვენი სამშობლოსა და უწმინდესის მიმართ, ეს იყო საოცარი განცდა, დღეს ჩვენ ყველანი ვიყავით ერთი დიდი მოსიყვარულე ოჯახის ნაწილი. კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ტარიელს ზამთრის ძალიან თბილი საღამოსთვის.

მარიამ ჯორჯაძე
ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

ტარიელ ხარხელაურს აქამდე არ ვიცნობდი, სამწუხაროდ, არც მის პოეზიას ვიცნობდი. მისმა მსოფლმხედველობამ და ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, ყველაზე მეტად მისმა უბრალოებამ გამაოცა. პოეტის ნათქვამი ყოველი სიტყვიდან სულიერება და პატრიოტიზმი ისმის. თანამედროვე ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ მის ლექსებზე.

ლევან სართანია,
სემინარიის პირველი კურსის სტუდენტი

გაზეთის თებერვლის ნომერი მოამზადეს გივი შეყილაძემ (რედაქტორი) და ჟურნალისტმა სალომე გოგინაშვილმა (პასუხისმგებელი მდივანი).

დამკაბადონებელი - **შორენა ფარქოსაძე**
დაიბეჭდა შპს. „მერიდიანის“ სტამბაში.